

ეგრეული სექერთველო

New
ახალი

ISSN 1987-8729

9 771987 872003

სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი

№6 (38), ივნისი, 2014

ჰუმინურ-ორგანული სასუქი

ჰუმინური სასუქი "აგროვიტა" არის უნივერსალური, ფართო მოქმედების მქონე პრეპარატი. იწარმოება ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი ჰუმატებისაგან, დაპატენტებული ტექნოლოგიის მიხედვით.

დანიშნულება: ჰუმინური სასუქი "აგროვიტა" გამოიყენება ყველა სახის მცენარის გამოკვებისათვის, ნებისმიერი ნიადაგურ-კლიმატური რეგიონისათვის, მცენარის განვითარების ყველა ფაზაში – თესლის დამუშავებიდან ვეგეტაციის ბოლომდე და ნიადაგის განოყიერებისათვის მოსავლის აღების შემდეგ ან ადრე გაზაფხულზე. წარმატებით გამოიყენება "ორგანულ" მიწათმოქმედებაში, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაში. ახასიათებს ზრდის სტიმულაციის ეფექტი და ფუნგიციდური თვისებები.

დაპატენტებულია საქართველოში №3977 29.11.2005 რეგისტრაციის მოწმობა N56, 11.08.2010

შპს „აგროვიტა"

თბილისი, 0119, წერეთლის პრ., N142, 2-ე სართ, ოთ. 15

ტელ/ფაქსი: 995 32 341 678 მობ.: 995 99 205 969, 995 97 170 703, 995 97 170 709

ელ.ფოსტა: agrovitae@gmail.com

ბიო ორგანიკ ჯორჯია BIO ORGANIC GEORGIA

ორგანიკა

ნიადაგის
აღმდგენი

უნივერსალური თხევადი ორგანულ-ბაქტერიული სასუქი

რომელსაც მოპოვებული აქვს ორგანული სერტიფიკატი, მინიჭებული აქვს საერთაშორისო ხარისხის ოქროს გვირგვინი QC100, დაშვებულია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მოსაყვანად

GREEN CAUCASUS

QCK

LONDON QUALITY CROWN QC 100

www.organica.ge

ბიოაგრო BioAGRO

მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრი
CENTER of BIOLOGICAL PROTECTION OF PLANTS

მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის საშუალებები, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მოსაყვანად

- კონსულტაცია ბიომეურნეობის მოწყობაზე;
- ნიადაგის ფიტოსანიტარული მდგომარეობის შესწავლა;
- მცენარეთა დაავადების დიაგნოსტიკა,
- მოყვანილი, სერტიფიცირებული პროდუქტის რეალიზაციაში ხელშეწყობა.

www.bioagro.ge

სასუქი და მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებები უვნებელია ადამიანისათვის, ეკოსისტემისათვის, ცხოველებისათვის, ფრინველებისათვის, თევზებისათვის, ფუტკრებისათვის, სასარგებლო მწერებისათვის

☎ 599 16 05 10

HP
69-102

MF 3600

(V/S/F/GE) ახალი მოდელები 4 ვერსიით
მეტი ძალა, მეტი გაწევა, მეტი სარგებელი

ხედვა სიახლე ლიდერობა ხარისხი საიმედოობა მხარდაჭერა სიამაყე ვალდებულება

ოფიციალური დილერი

WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა

www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

MASSEY FERGUSON
მასეი ფერგიუსონი

MF 3600 3600 სერიის საბაღე-სავენახე ტრაქტორები, რომლებიც იდეალურია თქვენი მეურნეობისათვის

„მასეი ფერგიუსონი“-ის (**Massey Ferguson**) 3600 სერიის მაღალი ხარისხის კომფორტული ტრაქტორები კაბინით ან უკაბინოდ, სხვადასხვა სიგანის, სიმძლავრის და სპეციფიკაციის, 4X2 ან 4X4 წამყვანი თვლებით, ნებისმიერი ამოცანების გადასაჭრელად.

მოდელი	ვერსია	ცხ.ძ.
MF 3625	V/S/F/GE	69
MF 3635	V/S/F/GE	80
MF 3640	V/S/F/GE	84
MF 3650	S/F/GE	94
MF 3660	S/F/GE	102



სავენახე ვერსია (V) Vineyard Version (V) – სიგანე 1 მ-დან. ეს მოდელი სპეციალურადაა შექმნილი ტრადიციული ვიწრო ვენახებისათვის, 1,5-2 მეტრ რიგთაშორისებში სამუშაოდ.

სპეციალური ვერსია (S) Special Version (S) – სიგანე 1,3 მ-დან, ეს მოდელი გამიზნულია შედარებით გაშლილი ვენახებისათვის – 2-2,5 მეტრი რიგთაშორისებში სამუშაოდ. გაუმჯობესებული, კომფორტული, ფართე კაბინით.

საბაღე ვერსია (F) Fruit Version (F) – სიგანე 1,5 მ-დან გამიზნულია ვენახებისა და ხეხილის ბაღებისათვის. ეს არის უფრო მძლავრი და განიერი ტრაქტორი მეტი შესაძლებლობებით.

GE ვერსია Ge Version – სიგანე 1,15 მ-დან. ეს მოდელი სპეციალურად დაბალი ხეივნის ქვეშ სამუშაოდ არის შექმნილი.

ოფიციალური დილერი
WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა
www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

მიუხედავად იმისა, თუ რას აწარმოებთ თქვენ: ყურძენს, ზეთის ხილს, ხილს ან თხილს, ბოსტნეულს თუ ყვავილებს, მალევე აღმოაჩენთ, რომ **MF** 3600 სერიის ტრაქტორები თქვენი მეურნეობისთვის შეუცვლელია, რაშიც მოწეული უხვი მოსავალიც დაგარწმუნებთ.

ალიანს ჯგუფი
ლიზინგი
ისარგებლეთ აგრო ლიზინგით და გადაიხადეთ ტექნიკის ღირებულება ეტაპობრივად

VALTRA
ინდივიდუალურად თქვენთვის
ვალტრას ტრაქტორები -
A სერიის კომპაქტური
მოდელები საბაღე,
სავენახე და ფერმერული
მეურნეობებისათვის
A53 / A63 / A73
ოფიციალური დილერი
WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა
www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

ვალტრას ტრაქტორები -
A სერიის კომპაქტური მოდელები
ინდივიდუალურად თქვენთვის

ოფიციალური დილერი

WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა

www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

ალიანს ჯგუფი
ლიზინგი

ისარგებლეთ აგრო ლიზინგით და გადაიხადეთ
ტექნიკის ღირებულება ეტაპობრივად

ხარისხი და საიმედოობა ყველგან და ყოველთვის

ბერტოლინი

მცირე სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მოტობლოკები

BERTOLINI

our **power**, your **passion**

ოფიციალური დილერი

WORLD TECHNIC

მსოფლიო ტექნიკა

www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge

☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

ალიანს ჯგუფი

ლიზინგი

ისარგებლეთ აგრო ლიზინგით და გადაიხადეთ ტექნიკის ღირებულება ეტაპობრივად

ASCA

ახალი აგრარული საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)

ყოველთვიური სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine

ივნისი, 2014 წელი.

№6 (38)

სარედაქციო კოლეგია:
შოთა მაჭარაშვილი *(მთ. რედაქტორი)*, ნუგზარ ებანოიძე, რეზო ჯაბნიძე, მიხეილ სოხაძე, თამარ სანიკიძე, ნოდარ ბრეგვაძე, გიორგი ბარისაშვილი *(მევენახეობა-მეღვინეობის რედაქციის რედაქტორი)*, თამთა გუგუშვილი *(ინგლ. ვერს. რედაქტორი)*.

editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:
აკადემიკოსები, მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:
რევაზ მახარობლიძე *(თავმჯდომარე)*, ნოდარ ჩხარტიშვილი, გურამ ალექსიძე, ნუგზარ ებანოიძე, პაატა კოღუაშვილი, ელგუჯა შაფაქიძე, პეტრე ნასყიდაშვილი, ზვიად ბრეგვაძე, ელგუჯა გუგუშვილი, ზაურ ჯულუხიძე, ზურაბ ჯინჯიხაძე, ქრისტო კახნიაშვილი, ადოლ ტყეშელაშვილი, ნატო კაკაბაძე, კუკური ძერია, კახა ლაშხი, ომარ თევდორაძე, ნუგზარ სარჯველაძე, დავით ბედია, თენგიზ ყურაშვილი, ზურაბ ლოლაძე, კობა კობალაძე, ნუკრი მემარნიშვილი.

გამომცემელი:
„აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);
Association of Agrarian Sector Companies (ASCA).
საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პრიორიტეტების კვლევითი ცენტრი „რეგიონიკა“;
Regionica – Georgian Research Center for Regional Economic Priorities.

რედაქციის მისამართი:
თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53
ტელ/tel: +995 (032) 2 90-50-00
599 16-18-31
Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53
www.regionica.org/journal.
agroasca@gmail.com

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა „ივერიელი“
(ციფრული ბიბლიოთეკა)
www.dspace.nplg.gov.ge
ახალი აგრარული საქართველო

დაკაბადონა გიორგი მაისურაძემ
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
The journal acts in accordance with the principles of free press.

© საავტორო უფლება დაცულია.
All rights reserved.

რეფერირებადია 2011 წლიდან
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა კოლორში“

WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა
www.worldtechnic.ge

ნომერში წაიკითხავთ:

10 **ლომთაგორას ხორბლის ახალი ჯიშები მსოფლიო ანალოგებს არაფრით ჩამორჩება!**

საქართველოში „ფირმა ლომთაგორას“ გარდა ჯიშურად გამოცდილი, დარაიონებული ხორბლის სათესლე მასალის ყიდვა შეუძლებელია.

16 **ქვევრის ღვინო, გამოწვევა და რეალობა**

ამ მხრივ მეტად საინტერესოა ილია ჭავჭავაძის, წმინდა ილია მართლის ცნობილი ნარკვევი – „ღვინის ქართულად დაყენება (1887წ.) “

30 **ბატკნის გამოზრდა და ცხვრის კვება**

მომთაბარე მეცხვარეობის პირობებში 3 თვის ასაკის ბატკანი უკვე მთაში აჰყავთ, სადაც ხდება მისი დედისგან ასხლეტა.

12 **„ფირმა ლომთაგორას“ ხორბლის საერთაშორისო სანერგე**

14 **საქართველოში დარეგისტრირებული რბილი ხორბლის ახალი ჯიშები**

15 **ქვემო ქართლი - ძვ.წ. VI ათასწლეულით დათარიღებული მეღვინეობის კერა**

18 **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მნიშვნელობა აჭარის აგრარული სექტორის განვითარებაში**

21 **სოფლის მეურნეობა და ქვეყნის განვითარება**

24 **საქართველოს ბიოაგროსექტორის განვითარების პროგრამისათვის**

27 **სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია ევროკავშირის მოთხოვნის შესაბამისად თაფლის შემოწმებას წლის ბოლოს შეძლებს!**

28 **ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ვეტერინარული თავდაცვა სამხედრო თავდაცვაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი არ არის!**

ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ გთავაზობთ!

ჟურნალში ერთი კვადრატული სანტიმეტრი სარეკლამო ფართის ღირებულება შეადგენს: ყდის მეორე გვერდზე – 60 თეთრს (მთლიანი გვერდი – 350 ლარი), ბოლოსწინა გვერდზე – 50 თეთრს (მთლიანი გვერდი – 300 ლარი), ბოლო გვერდზე – უკანა ყდაზე – 60 თეთრს (მთლიანი გვერდი – 350 ლარი). შიდა გვერდებზე – 35 თეთრს (მთლიანი გვერდი – 200 ლარი).

ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო” რეფერირებადია 2009 წლიდან. სამეცნიერო სტატიის მოცულობა რეზიუმეს თანხლებით არ უნდა აღემატებოდეს 1,5 ინტერვალით, 12-იანი შრიფტით ნაბეჭდ 5 თაბახის გვერდს.

ჟურნალის გამოწერა შეგიძლიათ პრესის გავრცელების სააგენტოებში: „ელვა ჯი“ (ტელ.: (032) 2-38-26-73; (032) 2-38-26-74); „საქპრესა+“ (0 (32) 2518518).

1 წლით ჟურნალის გამოწერა დაგიჯდებათ 24 ლარი, 6 თვით – 12 ლარი.

ლომთაგორას ხორბლის ახალი ჯიშები მსოფლიო ანალოგებს არაფრით ჩამორჩება!

წლეულს უჩვეულო წელიწადია და საქართველოში ხორბლის მოსავალი გვალვების გამო წინა წლებთან შედარებით კიდევ უფრო მცირე იქნება. კარგი მდგომარეობა არც ხორბლის უმსხვილეს მწარმოებელ ქვეყნებშია. ამერიკაშიც ნაკლებ მოსავალს ელოდებიან. გვალვების შედეგად არასახარბიელო ვითარებაა აზერბაიჯანშიც. არც უკრაინას აქვს კარგად საქმე, ასევეა შუა აზიაშიც. ეს მსოფლიო პრობლემაა, რასაც გლობალური დათბობა იწვევს. ვითარება, როგორც მეცნიერები ამბობენ, კიდევ უფრო გამწვავდება.

ყველა ცდილობს ამ პრობლემებს მომზადებული შეხვდეს. ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი უკვე წლებია სოფლის მეურნეობაში დიდ ინვესტიციებს დებს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მემარცვლეობას. ბოლო წლებში იმდენ მარცვლეულს აწარმოებენ, რომ საკუთარ მოთხოვნილებას მთლიანად იკმაყოფილებენ. არადა სამი-ოთხი წლის წინათ, როგორც ჩვენ, მარცვლეულის 90% გარედან შემოჰქონდათ. მეორე წელიწადია საქართველოში გაიზარდა სოფლის მეურნეობის დაფინანსება, მაგრამ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, სოფლის მეურნეობის ფეხზე დასაყენებლად გაცილებით მეტია საჭირო.

„ფირმა ლომთაგორა“ ერთადერთი სასოფლო-სამეურნეო საწარმოა შემორჩენილი ქვეყანაში, სადაც მარცვლეულის, ხორბლისა და სიმინდის პირველადი მეთესლეობა შენარჩუნებულია (ეს დარგი, რომელიც მაღალ დონეზე იყო განვითარებული ქვეყანაში, მთლიანად განადგურებულია). აქ საერთაშორისო სანერგეებიდან შემოტანილ ახალ ჯიშებს ყოველწლიურად ცდიან, აკვირდებიან, უხვმოსავლიან ფორმებს არჩევენ და საქართველოს სხვადასხვა კლიმატური პირობების მიხედვით არაიონებენ.

საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, ხორბლის მოსავლიანობის მხრივ, აქ შეუდარებლად კარგი ვითარებაა – წლეულს 500 ტონაზე მეტ პირველი რეპროდუქციის მაღალი ხარისხის უხვმოსავლიანი ხორბლის სათესლე მასალის დამზადებას გეგმავენ. მეტის წარმოებაც შეიძლება, მაგრამ საეჭვო წარმომავლობის, ხარისხისა და ღირებულების სუროგატ თესლთან კონკურენცია ჭირს. ქვეყანაში მხოლოდ ერთი წელია საფუძველი ჩაეყარა ჯიშთა გამოცდის სანერგეებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს თაოსნობით, სადაც ქვეყანაში არსებული ხორბლის ჯიშებზე დაკვირვებები (რეგიონების მიხედვით) წარმატებულად წარმოებს. ლაბორატორია დიდი ხნის წინათ გააუქმეს. პრობლემები საკმაოდ ბევრია და მის გადასაჭრელად გეგმაზომიერი, მიზანმიმართული სამუშაოებია ჩასატარებელი, რომელიც საკმაო დროს და სახსრებს მოითხოვს.

როგორც „ფირმა ლომთაგორას“ დირექტორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი კახა ლაშხი ამბობს, აქ ხორბლისა და სიმინდის მეთესლეობას 2000 წლიდან მისდევენ. უკვე 14 წელიწადი გავიდა და ახლავე შეიძლება თქმა, რომ შრომამ გაამართლა. დღეს თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ „ლომთაგორა“ ქართველ ფერმერებს ადგილობრივ პირობებთან შეგუებულ, უხვმოსავლიან, მაღალი ხარისხის ხორბლებისა და სიმინდების ადგილობრივი ჯიშების სათესლე მასალას სთავაზობს (აღნიშნულ სამუშაოებს, გუნდური პრინციპით, წარმატებით უძღვებიან დამსახურებული ქართველი მეცნიერები: ზურაბ ჯინჯიხაძე, ზაურ ჯულუხიძე, ირაკლი რეხვიაშვილი, თეიმურაზ ჯაფარიძე, ნანა ჩხუტიაშვილი და სხვები).

„ფირმა ლომთაგორას“ პირდაპირი კავშირი აქვს წამყვან საერთაშორისო სასელექციო ორგანიზაციებთან: ხორბლისა და სიმინდის გაუმჯობესების საერთაშორისო ცენტრ -CIMMYT-თან და მშრალი რეგიონების სასოფლო-სამეურნეო კვლევის საერთაშორისო ცენტრ ICARDA-სთან. ამ ორგანიზაციების რეგიონული წარმომადგენლები ბოლო წლებია თითქმის ყოველთვის მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც მარნეულის რაიონში, „ფირმა ლომთაგორას“ მეურნეობაში იმართება. კონფერენცია წლეულსაც 7 ივნისს ეწყობა.

თეორიული ნაწილის გარდა, აქ ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხორბლის საერთაშორისო სანერგის დათვალიერებას, სადაც, როგორც ბატონი კახა ლაშხი ამბობს, დღეს 80-ზე მეტი ხორბლის ჯიში იცდება.

– სანერგე გაშენებულია ერთ ფონზე, ერთი მოვლის პირობებით, და აქ ვაკვირდებით, რომელი ხორბალი უფრო გამძლეა დაავადებების, გვალ-

ვისა თუ სხვა კრიზისული პირობების მიმართ.

ხორბლის ჯიშების ძირითადი წყარო მეთესლეობის საერთაშორისო ორგანიზაციები: CIMMYT-ი, ICARDA, მეხიკოს მსოფლიო გენბანკია. სელექციური ნაკრებები ძირითადად იქიდან მოგვდის, ვთესავთ, საუკეთესოებს ვარჩევთ, რასაც მინიმუმ 5 წლამდე ვაკვირდებით, რადგან პირველ-მეორე წელს კარგი მოსავლის მიღება არაფერს ნიშნავს. ჯიშმა 5 წლის განმავლობაში უნდა მოგვცეს სტაბილური მოსავალი – 5-6 ტონა მაინც. მაშინ შეიძლება მისი წარმოებაში დანერგვა და ფერმერებში გავრცელება.

წლეულს ჩვენს სანერგეში წარმოდგენილია ხორბლის ფხიანი და უფხო ფორმები, ძირძველი ქართული უძველესი ჯიშები, გვაქვს ტრიტიკალეს (ხორბლის და ჭვავის შეჯვარებითაა მიღებული) სხვადასხვა ფორმები, რომელთა მოსავლიანობა 11 ტონას აჭარბებს. იგი მეცხოველეობისთვის ძალიან კარგი კულტურაა, რაც ჩვენთან აუცილებლად უნდა დაინერგოს. სამწუხაროდ, ჩვენი ფერმერები ამ კულტურას კარგად არ იცნობენ, არადა საუკეთესო საფურაჟე მასალაა და მაღალი საკვები ღირებულებებით გამოირჩევა.

საწარმოში წლეულს სიახლე გვაქვს: გავხსენით სათესლე მარცვლეულის გადასამუშავებელი და შესანახი ევროსტანდარტების დონის ქარხანა, რამაც განაპირობა სათესლე მასალის წარმოების მოცულობის გაზრდა. მარტო ქარხანა არაფერს ნიშნავს, თუ მაღალი ხარისხის მარცვლეულის საწარმოებლად საჭირო კარგი გენეტიკური მასალა არ გაქვს. ჩვენ ამ მასალას უკვე წლებია ვქმნით და დიდი მარაგიც დაგვიგროვდა. სწორედ ის არის ჩვენი წარმატების საიდუმლო, რომ მარცვლეულის ახალი გადამმუშავებელი ქარხანა ძირითად წარმოებასთან თანხვედრაში მოვიდა, რამაც განაპირობა წარმოების გაზრდა. მართალია ჯერჯერობით შიდა ბაზარზე ვართ ორიენტირებული, მაგრამ აუცილებლად მივაღწევთ იმას, რომ ჩვენს მიერ გამორჩეულ საუკეთესო ხორბლის ჯიშებს, რომლებიც საკმაოდ დიდი პოტენციალით ხასიათდება და უცხოურ ანალოგს ტოლს არ უდებს, ექსპორტზე გავიტანთ. მოლაპარაკებები ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან უკვე დაწყებული გვაქვს.

ბოლო წლებია სტაბილურად მაღალხარისხიანი ხორბლის სათესლე მასალას ვამზადებთ. ახლა უკვე ახალ ქარხანაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ინკუსტრირებულ მაღალი ხარისხის თესლს დავამუშავებთ, თანამედროვე სტანდარტებით შევფუთავთ და ფერმერებს შევთავაზებთ. ამასთან ერთად გადავწყვიტეთ, ფერმერთა წინაშე არსებული რთული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, გადარჩეული მაღალხარისხიანი სათესლე მასალა შეღავათიან ფასად შევთავაზოთ, რადგანაც ჩვენს ქარხანაში განხორციელებული ინვესტიცია და შესაბამისად თანამედროვე ტექნოლოგიები ამის შესაძლებლობას გვაძლევს.

საქართველოში „ფირმა ლომთაგორას“ გარდა ჯიშურად გამოცდილი, დარაიონებული ხორბლის სათესლე მასალის ყიდვა შეუძლებელია, რადგან ასეთი თესლი სხვაგან არ იწარმოება. დაურაიონებელი, გამოუცდელი თესლის დათესვა კი კატეგორიულად მიუღებელია, რადგან ვერაფრით განსაზღვრავ, რა შედეგს მიიღებ. ადრე ქვეყანას გააჩნდა საცდელი სადგურები, სადაც იცდებოდა თესლი და ისე ითესებოდა. ბოლო წლებში იგი მთლიანად განადგურდა. ამიტომაც არიან ჩვენი ფერმერები გამოუვალ მდგომარეობაში და დაკარგული აქვთ ნდობა. ქვეყანაში ხორბლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე (ბოლო ოცი წლის მაჩვენებლებით) 1 ტონაა. ჩვენ ხორბლის სათესლე მასალაზე ქვეყნის მოთხოვნილების 10 პროცენტსაც კი ვერ ვაკმაყოფილებთ. დანარჩენი 90 პროცენტი უცხოეთიდან შემოდის ან ადგილზე მზადდება (იგულისხმება ფერმერის მიერ მოწეული მოსავლის უკან ჩაბრუნება წლების განმავლობაში, რომელიც დაუშვებელია). 4-5 რეპროდუქციის თესლს უკვე აღარც ჯიშური თვისებები აქვს, აღარც სიწმინდე, ხარისხი, ზიანდება მიწის ნაყოფიერება და სტრუქტურა, ამიტომაც შედეგიც შესაბამისი დგება.

ჩვენი კლიმატური პირობების გათვალისწინებით შეგვიძლია დავამზადოთ იმდენი ხარისხიანი თესლი, რამდენიც ქვეყანას სჭირდება და ცოტა ექსპორტზეც გავიტანოთ.

„ფირმა ლომთაგორას“ კარგი ურთიერთობა აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებთან CIMMYT-თან და ICARDA-სთან. როგორც წესი, ისინი სახელმწიფოებთან თანამშრომლობენ. აქაც იყო მათი ოფისები, მაგრამ წინა ხელისუფლების დროს დაიხურა. ჩვენ მათთან მემორანდუმი გვაქვს გაფორმებული და აქტიურად ვთანამშრომლობთ.

მსოფლიო სასურსათო ორგანიზაცია ფაოს მონაცემებით 2030 წლისათვის მსოფლიოს სასურსათო კრიზისი ემუქრება – მოსახლეობა 8,9 მილიარდს გადააჭარბებს, ხორბლის წარმოება კი 20%-ით გაიზრდება და მიაღწევს 2150 მლნ. ტონას ანუ მასზე მოთხოვნილების 80%-ს. მომავალ 20 წელიწადში ეტაპობრივად გაიზრდება ფასებიც: ხორბალზე 66%-ით და სიმინდზე 37%-ით, ამიტომ დღის წესრიგში სულ უფრო მწვავედ დგას მარცვლეულის და სხვა კულტურების მოსავლიანობის გაზრდა. მეცნიერების შესაძლებლობები ამოუწურავი არ არის. ბიოლოგიურად მცენარეს რაღაც რესურსი

აქვს და იმის იქით წარმოების გაზრდა შეუძლებელია. დღეს ხორბლის მოსავლიანობის პიკი ჰექტარზე 14 ტონაა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ამერიკაში, ორეგონის შტატში საერთაშორისო კონფერენციაზე ჩემი ყოფნის პერიოდში როკფელერის, ბილ გეიტსის და სხვა ფონდებმა 100 მილიონი დოლარი გამოყვეს, რომ ამ პრობლემაზე მუშაობა გაგრძელდეს. განზრახულია ხორბლის მოსავლიანობა გაორმაგდეს, ე.ი ჰექტარზე 28 ტონა გახდეს. ეს გეგმა თითქოს ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ ამის პირობა უკვე არსებობს. შექმნილია გიგანტური თავთავები. ახლა მუშაობა ისეთი ღეროს შექმნაზე მიმდინარეობს, რომელიც ასეთ თავთავს დაიჭერს. ამის მიღწევას, როგორც ვხედავ, 10 წელიწადიც არ დასჭირდება.

ეს ორგანიზაციები გვეხმარებიან სანერგე მასალით, რჩევებით, გვიწვევენ კონფერენციებზე, გვაცნობენ სიახლეებს. მათი რეგიონული ხელმძღვანელები წლეულს 7 ივნისს ჩვენთან მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო კონფერენციაში. ჩამოვა CIMMYT-ის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი ალექსეი მორგუნოვი, ასევე ICARDA-ას წარმომადგენელი – რამ შარმა, შუა აზიიდან – ჯოზეფ ტუროკი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ გერმანელი სპეციალისტებიც. ასე რომ, ჩვენი უცხოელი პარტნიორები ყოველმხრივ მხარში გვიდგანან და გვეხმარებიან.

ხოლო რაც შეეხება თქვენს კითხვას, ამ დარგის განვითარების პერსპექტივა ჩვენს ქვეყანაში თუ როგორ წარმომიდგენია, მოგახსენებთ: საქართველოს მისი კლიმატისა და მრავალფეროვანი ბუნების წყალობით ყველაზე მეტი შანსი აქვს, აღნიშნული დარგი განავითაროს და ერთ-ერთი სამაგალითო ქვეყანა გახდეს, რა თქმა უნდა, მემკვიდრეობითი მიწის რესურსების რაციონალური გამოყენების, ერის კონსოლიდაციის და უფლის წყალობით!

მოამზადა
ნესტან გუგუშვილმა

„ფირმა ლომთაგორას“ ხორბლის საერთაშორისო სანერგე

„ფირმა ლომთაგორაში” უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ხორბლისა და სიმინდის სელექციის თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო სამუშაოებია შესრულებული. ამაზე ნათლად მეტყველებს „ლომთაგორას” სახელით დარეგისტრირებული სიმინდისა და ხორბლის ათზე მეტი მაღალპროდუქტიული და მაღალხარისხიანი, ჩვენი ეკოლოგიური გარემოსადმი მორგებული ჯიში და ჰიბრიდი, რომლებმაც სახელი მოიხვეჭეს როგორც ჩვენში, ისე ქვეყნის გარეთაც.

ყოველწლიურად ჩვენთან საშ. ხორბლის სასელექციო ნათესებს 20 ჰა ფართობი უკავია და მოიცავს შემდეგი ტიპის სანერგეებს:

1) საკოლექციო სანერგეს,
2) ჰიბრიდულ სანერგეს,
3)საკონტროლო სანერგეს,
4) გამრავლების 1-ლი წლის სანერგეს,
5) გამრავლების მე-2 წლის სანერგეს თესლ „ორიგინალის” გამოსაყვანად.

ა) საკოლექციო სანერგეში წარმოდგენილია როგორც ძვირფასი საწყისი სასელექციო ადგილობრივი მასალა, ასევე მსოფლიო სელექციური მიღწევების უახლოესი თაობის ჰიბრიდები.

სწორედ ეს სანერგე წარმოადგენს ჩვენი სელექციური მუშაობის ერთ-ერთ საფუძველს. ამ სანერგეში ნახავთ როგორც ადგილობრივ ენდემურ, ხალხურ და სელექციურ ფორმებს, ასევე გეოგრაფიულად დაშორებულ ფორმათა მრავალფეროვნებას. აქ არა მარტო შეისწავლება მრავალი ჯიშ-ნიმუში, არამედ ისინი ითესებიან ყოველწლიურად მათი განახლების თვალსაზრისითაც. ამ სანერგეშივე შესაძლებელია შეჯვარების პროცესების წარმართვა.

ბ) ჰიბრიდულ სანერგეში შეისწავლება პირველი და მეორე თაობის ჰიბრიდები.

აქ წარმოდგენილ ჯიშ-ნიმუშებში შეხვდებით როგორც ტიპიურ სარწყავი პირობებისათვის განკუთვნილ, ასევე ურწყავ და ორივე პირობებში მოსაყვან ფორმებს. ასევე შეხვდებით ტიპიურ საშემოდგომო და ორთესელა ჯიშ-ნიმუშებს.

ყველა მათგანი ხასიათდება გამძლეობით სამი სახეობის ჟანგისადმი. გვხვდებიან როგორც თეთრ, ისე წითელმარცვლიანი ფორმები და, რაც მთავარია, არიან უხვმოსავლიანნი.

ვეგეტაციის მთელ მანძილზე მიმდინარეობს მათზე დაკვირვება და ინდივიდუალური გამორჩევის შედეგად უფრო მეტად დახვეწილი ფორმები ხვდებიან შემდგომ სანერგეში.

გ) საკონტროლო სანერგეში ხდება შერჩეული ჯიშების მკაცრი შეფასება სტაბილურობის, ხარისხობრივ და მოსავლიანობის მაჩვენებელთა მიხედვით. პოზიტიური გამორჩევის შემდეგ გაწმენდილი ჯიშები, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ გენეტიკური ნიშნები და აღჭურვილნი არიან საუკეთესო სამეურნეო თვისებებით, გადადიან მომდევნო ეტაპზე.

დ) გამრავლების 1-ლი წლის სანერგეში ითესება საკონტროლო სანერგედან მიღებული თესლი. იგი მრავლდება, უტარდება მასობრივ-ნეგატიური გამორჩევა, ჯიშობრივ-სახეობრივი მარგვლა და გადაეცემა სელექციის შემდგომ საფეხურს.

ე) გამრავლების მე-2 წლის სანერგე წარმოადგენს თესლ „ორიგინალის" გამოსაყვან სანერგეს. ჯიშები აქ კვლავ გადიან ნეგატიური გამორჩევის პროცესს და ჯიშობრივ მარგვლას. ამ სანერგეში გამოყვანილი თესლი პასუხობს თესლ „ორიგინალისადმი" წაყენებულ მოთხოვნებს.

სასელექციო სამუშაოების წარმოებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ აგროტექნიკურ ფონს. ამ თვალსაზრისით ჩვენს მიერ გატარებულ ღონისძიებათა კომპლექსი მიმართულია მცენარის მიერ პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისაკენ, რაც ითვალისწინებს:

წინამორბედის შერჩევას; ნიადაგის დამუშავების ისეთ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მცენარის ფესვთა გავრცელების არეალში ოპტიმალური წყალ-ჰაეროვანი რეჟიმის შექმნას; კონტროლს მცენარის დაავადებათა, მავნებელთა და სარეველათა მიმართ; მცენარის უზრუნველყოფას მაკრო და მიკროელემენტებით; ნიადაგში ტენიანობის სასურველი რეჟიმის დაცვას. ამ აგროფონზე სელექციის ჩამოთვლილეტაპებგავლილი ჩვენი ჯიშები დათესილია ფართობებზე, საიდანაც მიიღება თესლი-„ორიგინალი". იგი მიმდინარე წლისათვის გვაძლევს შემდეგ სურათს: ლგ-123- 2.0ჰა; ლგ-126-2.0ჰა; ლგ-143-2.0ჰა; საული-8 -2.0ჰა; ტრიტიკალე-2.0ჰა,წითელი დოლი-1.0 ჰა; თეთრი დიკა-1.0ჰა. მიმდინარე წელს ამ ჯიშების 1-ლი და მე-2 თაობის თესლი შესაძლებელია მივიღოთ 100 ჰექტრიდან, რაც 500-600 ტონას შეესაბამება.

მიმდინარე წლის შემოდგომაზევე პირველადი მეთესლეობის სანერგე განზრახული გვაქვს მოვაწყოთ 5ჰექტარ ფართობზე, სადაც განთავსდება ოთხი დაწინაურებული ჯიში. ამ მიზნით აღებული და დათესილი იქნება შესატყვისი რაოდენობის თავთავი და პირველადი მეთესლეობისათვის შესაბამისი ტექნოლოგიის გატარებით 2015 წლის

შემოდგომაზე ვვარაუდობთ 10-15ტ. „სუპერ-ელიტის", ხოლო 2016 წლისთვის – 150-200ტ. თესლ „ორიგინალის" მიღებას.

წელსვე დასარეგისტრირებლად მზად გვაქვს ხორბლის ოთხი მეტად საინტერესო ჯიში, რომელთა მოსავლიანობის პოტენციური მაჩვენებლები საწარმოო პირობებში 7-8 ტ/ჰა -ზე მაღალია.

ყველაფერი კი დაიწყო მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა პოლიტიკურმა ძვრებმა თავისი გავლენა იქონია ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის – სოფლის მეურნეობაზე. სხვა მრავალ მიმართულებებთან ერთად მოშლილმა მეთესლეობისა და ჯიშთა გამოცდების სისტემებმა დასაბამი დაუდეს ქვეყანაში დაუსაბუთებელი, გამოუცდელი, სხვა ქვეყნებში წარმოებიდან ამოღებული ჯიშების შემოდინებას, რომელთა თესვამაც ჩვენს ფერმერებს ბევრი თავსატეხი გაუჩინა. წარმოადგენდა რა „ფირმა ლომთაგორას" საქმიანობის ერთ-ერთ სფეროს მემცენარეობა, კერძოდ კი ხორბლისა და სიმინდის წარმოება, მისმა ახალგაზრდა ხელმძღვანელმა კახა ლაშხმა თავი მოუყარა აღნიშნულ სფეროში მუშაობის გამოცდილების მქონე მეცნიერებს, შექმნა სამეცნიერო ჯგუფი, რომელმაც ხორბლისა და სიმინდის არაერთი მნიშვნელოვანი ჯიშითა და ჰიბრიდით გაამდიდრა ჩვენი სოფლის მეურნეობა და რომლის დადებით შედეგებსაც ფირმა დღეს იმკის.

ირაკლი რეხვიაშვილი,
სელექციონერი.
მარნეული, ლომთაგორა 2014.

საქართველოში დარეგისტრირებული რბილი ხორბლის ახალი ჯიშები

ხორბალი საქართველოს უძველესი კულტურაა, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-VI-ე ათასწლეულში მოყავდათ. ამას ადასტურებს ხალხური სელექციით გამოყვანილი მრავალი ჯიში, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წარმოიქმნა და წარმატებით ითესებოდა. დღეისათვის მსოფლიოში არსებული ხორბლის 27 კულტურული და ველური სახეობაა აღწერილი. აქედან 14 სახეობა საქართველოშია აღმოჩენილი, მათ შორის 5 სახეობა ენდემურია. ქვეყანაში შესაბამისი ზონისა და რეგიონის კლიმატური პირობების გათვალისწინებით განსაზღვრული იყო თავთავიანი კულტურების მრავალფეროვნება.

საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 135 კგ. ხორბალი მოიხმარება, რაც მსოფლიოში ერთ-ერთი უმაღლესი მაჩვენებელია. საქართველოს მოსახლეობას მხოლოდ სასურსათო მოხმარებისათვის ყოველწლიურად 800 ათასი ტონა ხორბლის მარცვალი ესაჭიროება. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში წარმოებული ხორბლის მარცვალი ადგილობრივი მოთხოვნილების მხოლოდ 10-15%-ს აკმაყოფილებს, დანარჩენი წილი უცხოეთიდან შემოდის.

ამჟამად საქართველოში ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მთლიანი ნათესი ფართობი 259,6 ათას ჰექტარს შეადგენს, აქედან საშემოდგომო მარცვლეული კულტურები მხოლოდ 20,8% ფართობზე ითესება. ხორბლის წარმოების დაბალი კონკურენტუნარიანობის გამო ნათესი ფართობები მკვეთრადაა შემცირებული.

საქართველოში ისტორიულად ხორბალი თითქმის ყველა მხარეში ითესებოდა და ნათესი ფართობი ხშირად 150 ათას ჰა-ს აღემატებოდა, საშუალო მოსავლიანობა კი 2.5 ტ/ჰა-ს უტოლდებოდა. სამწუხაროდ, 1990-იანი წლების შემდეგ ხორბლის ნათესი ფართობი ქვეყანაში თანდათან შემცირდა, ხოლო საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 1.1-1.5 ტონამდე დაეცა, რაც მეზობელ ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

ამდენად, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ძირითად ამოცანას მარცვლის მოსავლის გაზრდა წარმოადგენს. ეს ამოცანა ფართობის ერთეულზე მოსავლიანობის ამაღლების გზით უნდა გადაიჭრას, რაც შესაბამისი აგროტექნოლოგიური და სტაბილური მოსავლიანი ჯიშების თესვამოყვანით სრულიად შესაძლებელია. ასეთი ჯიშების მისაღებად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასელექციო საწყისი მასალის მრავალფეროვნებას, საიდანაც უკეთეს გენოტიპთა გამოყოფით შეიძლება მაღალმოსავლიანი, დადებითი ნიშან-თვისებების მქონე ახალი ჯიშები მივიღოთ. ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო სამეცნიერო და სასელექციო ცენტრებთან ურთიერთობას, რომელიც სასელექციო მასალის გაცვლასა და გამორჩეული ფორმების შესწავლას უწყობს ხელს.

2000 წლიდან ხორბლის მოსავლიანობის გაუმჯობესების საერთაშორისო პროგრამის – IWWP ფარგლებში ქართველი სელექციონერები წარმატებით თანამშრომლობენ წამყვან სასელექციო ცენტრებთან: ხორბლისა და სიმინდის გაუმჯობესების საერთაშორისო ცენტრ -CIMMYT-თან და მშრალი რეგიონების სასოფლო-სამეურნეო კვლევის საერთაშორისო ცენტრ – ICARDA-სთან, რომლებიც ყოველწლიურად ხორბლის სხვადასხვა სანერგეებს აგზავნიან, საიდანაც ახალი სასელექციო მასალა ისწავლება და ფასდება იმ ნიშან-თვისებებთან მიმართებაში, რომელიც განმსაზღვრელია მაღალმოსავლიანი და მაღალხარისხიანი ხორბლის ჯიშის გამოსაყვანად. ამ ნიშან-თვისებებს მიეკუთვნება ფენოლოგია, ადგილობრივ პირობებთან ადაპტაცია,

საერთაშორისო სანერგეებიდან გამორჩეული და საქართველოში დარეგისტრირებული რბილი ხორბლის ჯიშები

№	ჯიში	მშობელი ფორმა/ სანერგე	რეგისტრაციის წელი	განსაკუთრებული მახასიათებელი
1	ლომთაგორა 123	FRTL/Nemura	2010	ფაკულტატური, საადრეო ჯიშია. ხასიათდება გვალვაგამძლეობით. მაღალი აგროფონის პირობებში მიღებულია 7,5 ტ/ჰა-ზე, საშუალო მოსავლიანობა კი შეადგენს 5,5 ტ/ჰა-ზე.
		7EYT-IRR-9823		
2	ლომთაგორა 109	Shark/F4105W.21	2011	არის საშემოდგომო ფორმა, ყინვაგამძლე და გვალვაგამძლე, მდგრადია სოკოვანი დაავადებების მიმართ
		7EYT-IRR-9809		
3	საული 9	SAULESKU#44/ TR810222	2011	ჯიში არის ფაკულტატური და ხასიათდება დაავადებებისა და გვალვაგამძლეობის მაღალი უნარით. საშუალო მოსავლიანობა შეადგენს 5,0-5,5 ტ/ჰა-ზე.
		8EYT-SA - 9		
4	ლომთაგორა 149	TNMUI6/PEL 74144/4/ KVZ//ANE	2012	ჯიში იმუნურია დაავადებების მიმართ და გამოირჩევა გვალვაგამძლეობით,ასევე მარცვლის ხარისხობრივი მაჩვენებლებითა და მოსავლიანობით.
		14 HRWSN-49		

მოსავლიანობა, დაავადებებისა და მავნებლებისადმი გამძლეობა, მცენარის ბიოლოგიური ტიპი და მარცვლის ხარისხი.

საქართველოს სამეცნიერო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიურად თანამშრომლობს ფერმერული მეურნეობა „ფირმა ლომთაგორა“, რომელიც შერჩეული ჯიშების საწარმოო გამოცდასა და გამრავლებას უზრუნველყოფს.

ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის შედეგად საერთაშორისო სანერგეებიდან საქართველოს პირობებისათვის ადაპტირებული, აგრონომიული და სამეურნეო ნიშანთვისებების მქონე ჯიშები გამოირჩა, რომლებიც დარეგისტრირებულია და საქართველოს ხორბლის მწარმოებელ ყველა რეგიონში ითესება. ეს ჯიშებია:

„ლომთაგორა 123“ – გამოირჩა ელიტური ხორბლის საერთაშორისო სანერგედან – 7EYT-IRR, საქართველოში დარეგისტრირდა 2010 წელს. ფაკულტატური, საადრეო ჯიშია. ხასიათდება გვალვაგამძლეობით. მაღალი აგროფონის პირობებში ჰექტარზე მიღებულია 7,5 ტონა მარცვალი, საშუალო მოსავლიანობა კი ჰა-ზე 5,5 ტონას შეადგენს.

ამავე სანერგედან გამოირჩა ჯიში „ლომთაგორა 109“, დარეგისტრირდა 2011 წელს. არის საშემოდგომო ფორმა, ყინვაგამძლე და გვალვაგამძლე, მდგრადია სოკოვანი დაავადებების მიმართ. ხასიათდება მარცვლის დადებითი ხარისხობრივი მაჩვენებლებით და საშუალო მოსავლიანობა ჰა-ზე 5 ტონაა.

2011 წელს დარეგისტრირდა ჯიში „საული 9“, რომელიც ელიტური ხორბლის საერთაშორისო სანერგედან -8EYT-SA განკუთვნილი მშრალი რეგიონებისათვის შეირჩა. ჯიში ფაკულტატურია და დაავადებებისა და გვალვაგამძლეობის მაღალი უნარით ხასიათდება.

14HRWSN სანერგედან შეირჩა ასევე საადრეო ჯიში „ლომთაგორა 149“, რომელიც 2012 წელს დარეგისტრირდა. ჯიში იმუნურია დაავადებების მიმართ და გამოირჩევა გვალვაგამძლეობით, ასევე მარცვლის ხარისხობრივი მაჩვენებლებითა და მოსავლიანობით.

სელექციონერების მიერ გრძელდება მუშაობა დარეგისტრირებული ჯიშების პირველად მეთესლეობასა და ელიტური თესლის მიღებაზე, რათა ხორბლის მწარმოებელი ფერმერული მეურნეობები მაღალხარისხიანი სათესლე მასალით იყვნენ უზრუნველყოფილნი.

გულნარ ჩხუტიაშვილი,
ს/მ აკადემიური დოქტორი

ქვემო ქართლი – ძვ.წ. VI ათასწლეულით დათარიღებული მეღვინეობის კერა



საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე და ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილი წარმოადგენენ ძვ.წ. VI ათასწლეულით დათარიღებულ არქეოლოგიურ აღმოჩენებს ქვემო ქართლში (სოფ. იმირი).

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინფორმაციით, ძეგლის შესწავლა ეტაპობრივად სხვადასხვა წლებში მიმდინარეობდა. 1965-1971 წლებში არქეოლოგიური სამუშაოები სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ალექსანდრე ჯავახიშვილისა და ოთარ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა. ექსპედიციამ სოფელ იმირის მახლობლად შეისწავლა ოთხი ნეოლითური ხანის ნასოფლარი – შულავერის გორა, იმირის გორა, დანგრეული და გადაჭრილი გორა. აღმოსავლეთ საქართველოში ნეოლითური ხანის ძეგლებს აგრეთვე იკვლევდა მეცნიერი თამაზ კიღურაძე. მკვლევარების მიერ შულავერ-შომუთეფეს კულტურად წოდებული, ძვ.წ. VI ათასწლეულით დათარიღებული, ეს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლები მას შემდეგ მუდმივი კვლევის საგანია.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ აღმოჩენილია VI ათასწლეულით დათარიღებული უძველესი ყურძნის წიპწები. კომპლექსური კვლევის შედეგად დგინდება, რომ ველური ვაზი ადამიანმა პირველად საქართველოს ტერიტორიაზე მოიშინაურა და შემდეგ უკვე კულტურული ვაზისგან ღვინო დაწურა. კერამიკული ჭურჭლის ანაფხეკებში აღმოჩენილია კულტურული ვაზის მტვრის მარცვლები, რაც ამ ჭურჭელში ღვინის არსებობის დასტურია.

2012 წლიდან ძეგლზე სამუშაოებს აგრძელებს ქართულ-ფრანგული არქეოლოგიური ექსპედიცია (საქართველოს ეროვნული მუზეუმის და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის (CNRS) პროექტის – LIA (Laboratory

International Associate) – "GATES Project" ფარგლებში. არქეოლოგიურ სამუშაოებში სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც იღებენ. ექსპედიციის ხელმძღვანელია ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციების მთავარი კურატორი მინდია ჯალაბაძე.

როგორც საქართველოს ეროვნული მუზეუმში აცხადებენ,ძეგლის არქეოლოგიური შესწავლით დგინდება, რომ ამ პერიოდში იწყება მიწათმოქმედების აღმავლობა და საზოგადოება გადადის ცხოვრების ახალ ეტაპზე – ჩნდება პირველი მეურნეობის ნიშნები და იწყებენ ცხოველების მოშინაურებას.

წლევანდელი ექსპედიციის შედეგად გამოვლინდა საცხოვრებელი ნაგებობები, სხვადასხვა შრომის იარაღები, ჭურჭელი, სამეურნეო ორმოები და სხვა. აღმოჩენილი მასალის დამუშავების და პალეო-ბოტანიკური კვლევის შედეგები კიდევ უფრო ნათელ სურათს შექმნის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ღვინის უძველესი კულტურის შესახებ.

უახლოეს მომავალში საქართველოს ეროვნული მუზეუმი და ღვინის ეროვნული სააგენტო ერთობლივად განახორციელებენ ქართული ღვინის კულტურის ისტორიის კვლევის ეროვნულ პროგრამას, რომლის მიზანიც საქართველოს, როგორც უძველესი მეღვინეობის ქვეყნის, წარმოჩენაა.

ქვევრის ღვინო, გამოწვევა და რეალობა

(მოკლე მიმოხილვა)

ათასწლეულების სიღრმიდან ჩვენამდე მოღწეული ქართული ყოფიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ნამდვილადაა როგორც თავად ქვევრი, ისე ქვევრში ღვინის ქართულად დაყენების საქმე.

განსაკუთრებით ბოლო პერიოდში როგორც საქართველოში, ისე უცხოეთშიც ქვევრიცა და ქვევრის ღვინოც გარკვეული ინტერესის სფეროში მოექცა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 20-30 წლის წინ ჩვენში ქვევრში დაყენებული ღვინო დიდი რეპუტაციით ნამდვილად ვერ სარგებლობდა, რასაც აქვს კიდეც თავისი მიზეზი, ამასთან არაერთიც! ხსენებულ მიზეზთა სათითაოდ განხილვა შორს წაგვიყვანს, რაც მეორე მხრივ საუბრის საკმაოდ ვრცელი თემაცაა და მისი, თუნდაც ვრცელი სტატიის ჩარჩოებში ჩატევა სართულო საქმე იქნებოდა. თუმცა წინამდებარე ჟურნალის ფარგლების გათვალისწინებით უდაოდ ღირს იმ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება, რომელთა წინაშეც ქვევრის ღვინო აღმოჩნდა უკანასკნელ პერიოდში. უმთავრეს პრობლემად ალბათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ ამ დრომდე ვაზისა და ღვინის ქართულ კანონში ქვევრზე, ქვევრის ღვინოზე და მარნებზე არაფერი ეწერა, რამაც ამ დარგის განვითარებას გარკვეულწილად ხელი შეუშალა. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვაზისა და ღვინის ეროვნული სააგენტოს ინიციატივა კანონის ცვლილებებთან დაკავშირებით ნამდვილად მისასალმებელია, რადგან კანონში პირველად იქნება საუბარი ხსენებულ პრობლემაზე. თუმცა არანაკლებ პრობლემად გვევლინება ქვევრის ღვინის ხარისხი და მისი განსაზღვრება, ანუ ჩამოყალიბებული აზრი იმის შესახებ, თუ როგორი ღვინო შეიძლება ჩაითვალოს ქვევრის ღვინოდ. ამ უკანასკნელი საკითხის გარშემო არსებობს აზრთა გარკვეული სხვადასხვაობა. სიტუაციას გარკვეულწილად ისიც ართულებს, რომ საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა ქვევრში ღვინის დაყენების სხვადასხვა წესები, რაც განპირობებული იყო ქვეყნის კუთხეების; ნიადაგურ-კლიმატური პირობების; ვაზის ადგილობრივი ჯიშების; კულინარიის; ტრადიციებისა და სხვათა გათვალისწინებით.

ქვევრში ღვინის ქართულად დაყენების მეთოდით მიღებული პროდუქტი ის ნიშა-პროდუქტია, რომელიც ადგილის მოცილედ არ მოევლინება ჩვეულებრივ, ინდუსტრიულ ღვინოს მსოფლიო ბაზარზე და ეს ორი განსხვავებული პროდუქტი ერთმანეთის კონკურენტი არასოდეს იქნება. სწორედ ამიტომ ქვევრის ღვინო მსოფლიო ყბადაღებული ბაზრისათვის ყოველთვის ზღვაში წვეთი იქნება და ეს არცაა გასაკვირი. რაც არ უნდა ბევრი მარანი აშენდეს საქართველოში, ბაზრისათვის ქვევრის ღვინო, როგორც ითქვა, ყოველთვის ცოტა იქნება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი, თუნდაც უნიკალური პროდუქტით მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრება ურთულესი საგანია. ქვევრის ღვინის ცნობადობა ხალხში თანდათან უფრო იზრდება, მაგრამ ამ საქმეს მართებულად გამოყენება ესაჭიროება. რა იგულისხმება ამ უკანასკნელში? ვფიქრობთ, რომ ესაა ერთ-ერთი უმთავრესი საგანთაგანი, რომელსაც ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ჩვენი მხრიდან. ესაა ქვევრის ღვინის შესაბამისი ხარისხი. ახალი, უცხო პროდუქტისადმი მომხმარებელი ყოველთვის კრიტიკულადაა განწყობილი. მითუმეტეს, როდესაც მას ეუბნებიან, რომ ესაა პროდუქტი,

რომლის ტექნოლოგია და ისტორია ითვლის 8000 წელს; რომელიც არის ვაზისა და ღვინის სამშობლოდან, სადაც 500-ზე მეტი ადგილობრივი და უნიკალური ვაზის ჯიში არსებობს და სხვ... ეს ყოველივე უცხოელ მომხმარებელს შესაძლოა კარგადაც მოეხსენება და უკვე არაერთხელაც სმენია, მაგრამ ამ ვრცელი და ამაყი შესავალის შემდეგ რას ვთავაზობთ მას? რა დასამალია და არც თუ ისე იშვიათია ისეთი ფაქტები, როდესაც ქართული ქვევრის ღვინო არ არის ღირსეული ხარისხისა. შეუსაბამობას ხშირად ღვინის ფასებშიც ვხვდებით, თუმცა ამას ბაზარი თავად დაარეგულირებს და მიხედავს. არადა ის კი ცალსახაა, რომ ქვევრის ღვინო არ უნდა იყოს იაფფასიანი მასობრივი პროდუქტი, როგორსაც, მაგალითად ქართული ღვინის ქარხნების უმეტესობა აწარმოებს, მაგრამ თუკი ქვევრში დაყენებული ღვინო არ არის მაღალხარისხიანი, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ რატომაა მაშინ ასეთი ღვინო მაღალფასიანი? მხოლოდ იმიტომ, რომ მან გარკვეული ხანი ქვევრში დაჰყო? თუ ადამიანს შესაბამისი ცოდნა-გამოცდილება არა აქვს და იგი არ იცავს ჰიგიენის წესებს, მაშინ მას ქვევრი ვერაფერში დაეხმარება. მართალია ჩვენში ქვევრში ღვინის ქართულად დაყენების საქმე სულ უფრო პუპულარული ხდება და იკიდებს ფეხს, მაგრამ ამ პროცესს დარგობრივი ცოდნა ნამდვილად ჩამორჩება. არადა ღირსეული პროდუქტის შექმნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც პრაქტიკულ საქმეს შესაბამისი ცოდნა-გამოცდილება ახლავს.

როგორც თავში აღინიშნა, მეტად მნიშვნელოვანია ბოთლში ჩამოსხმული ქვევრის ღვინის შესაბამისობა, ესე იგი ის, თუ როგორ პროდუქტს შეიძლება ეწოდოს ქვევრის ღვინო. ეს საკითხი ჯერჯერობით დროსაა მინდობილი და იგი საჭიროებს გარკვევას. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი ადამიანის აზრით ქვევრის ღვინოდ ითვლება ისეთი პროდუქტი, რომელმაც ქვევრში გაიარა ფერმენტაცია ანუ ალკოჰოლური დუღილი; ზოგი მიიჩნევს, რომ ქვევრის ღვინოდ უნდა იწოდებოდეს ისეთი ღვინო, რომელიც ქვევრში არა მხოლოდ დადუღდა, არამედ დავარგდა კიდეც იქ. არის სხვა მოსაზრებებიც... ზოგიერთებს ქვევრში დადუღებული ღვინო დასავარგებლად მუხის კასრებში გადაა-ქვთ, თუმცა ამ შემთხვევაში აბა რა მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სად დადუღდა ღვინო? აქვე ალბათ ისიც უნდა ითქვას, რომ ქვევრში ღვინის ქართულად დაყენების საქმეში მხოლოდ წარსულით ვერ ვიხელმძღვანელებთ და ეს საქმე გარკვეულად თანამედროვეობასთანაც უნდა იყოს შეთანაწყობილი. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგიერთი საგანი განვითარებას არ ექვემდებარება, რადგან მან თავისი დახვეწილი სახე საუკუნეების წინ მიიღო. ამ საქმეში ერთ-ერთი ასეთი საგანი უმთავრესად ისევ და ისევ ქვევრია! ჩვენში ბევრ ადამიანს უფიქრია ქვევრის პრინციპსა თუ ფორმაში გარკვეული ცვლილებების შეტანის შესახებ, მაგრამ ჯერხნობით, როგორი ფორმისა და პრინციპის ჭურჭელიცაა ქვევრი, იმაზე უკეთესი ვერავინ ვერაფერი მოიგონა...

ამ მხრივ მეტად საინტერესოა ილია ჭავჭავაძის, წმინდა ილია მართლის ცნობილი ნარკვევი - „ ღვინის ქართულად დაყენება (1887წ.) “, რომელსაც უდავოდ შეიძლება მიენიჭოს ერთგვარი გზამკვლევის სტატუსი ქვევრში ღვინის დაყენების საქმეში. ილია თავის გენიალურ ნარკვევში ძირეულად განიხილავს ქვევრისა და მარნის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს ერთმანეთს ადარებს მარანსა და სარდაფს, ქვევრსა და კასრს და დასკვნის სახით ამბობს და ასაბუთებს, რომ ქვევრიც, მარანიცა და ქვევრის ღვინოც გამორჩეული საგნებია, რომელიც სხვა ჭურჭელთან, შენობასთან თუ სხვაგვარად დაყენებულ ღვინოსთან შედარებით აშკარა უპირატესობით გამოირჩევა. ხსენებული ნარკვევი აუცილებლად ყოველმა ქართველმა უნდა წაიკითხოს და დაისწავლოს!

ასერიგად ქართული ქვევრის ღვინო ესესაა მსოფლიო ბაზრის ერთგვარი გამოწვევის წინაშე წარსდგა, რომელ ბაზარზე დასამკვიდრებლად საქმეს ისიც ართულებს, რომ მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი ღვინოსაც შეეხო, თუმცა მეორე მხრივ ეს მომენტი სწორედ რომ ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს. საქმე ისაა, რომ ჩვენი უნიკალური პროდუქტი - ქვევრში ქართული მეთოდით დაყენებული ღვინო, როგორც აღინიშნა, გამორჩეული პროდუქტია, რომლის ამოცნობა ნამდვილად არ არის რთული საქმე ზღვა ღვინოებს შორის. ქვევრის ღვინო „ნიშაპროდუქტის“ ჩარჩოებს არც უნდა გასცდეს და ვერც გასცდება, რადგან ხარისხი და რაოდენობა ერთმანეთს ყოველთვის ეწინააღმდეგება. მსოფლიოში ქვევრის ღვინის, როგორც ნატურალური და უნიკალური პროდუქტის ცნობადობა თანდათან იზრდება. ეს ყველაფერი თავისთავად არ მომხდარა და მას წინ უძღოდა ამ სფეროში მომუშავე ქართველ ენთუზიასტთა მიერ გაწეული გარკვეული სამუშაოები და შრომა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც. ეს პროცესი თამამად შეიძლება ჩაითვალოს პირველ ეტაპად. ამჯერად კი წინ გვიდევს მეორე, გაცილებით მნიშვნელოვანი ეტაპი. ესაა ბაზრისათვის ღირსეული პროდუქტის მიწოდება. ამ პროცესს, მაღალი რისკფაქტორიდან გამომდინარე, მკაცრი გაკონტროლება ესაჭიროება, რისთვისაც, მაგალითისათვის თუნდაც უცხოეთის გამოცდილების გაზიარება მეტი ნამდვილად არ იქნება ჩვენთვის.

გიორგი ბარისაშვილი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მნიშვნელობა აჭარის აგრარული სექტორის განვითარებაში

დასასრული. დასაწ. №5 ნომერში

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობით საფუძველი ჩაეყარა სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების, კოოპერატივების ჩამოყალიბებას აჭარის რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტში. ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენს საზოგადოებას არ ჰქონია მოკლე მეხსიერება და უდიდესი ინტერესით შეხვდა ჭეშმარიტად დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული სასოფლო კოოპერატივების შექმნას.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების საცდელი მოდელების ჩამოყალიბება და შემდგომი განვითარების ორგანიზაცია“ განხორციელების პროცესმა ნათლად წარმოაჩინა ის აქტუალური პრობლემები და საკითხები, რომელთა გადაჭრა აგრობიზნესის განვითარებისათვის მიზანშეწონილია და აუცილებელი. მათ შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

1. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გამოთქვამს სურვილს გაწევრიანდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში და მის მფლობელობაში არსებული მიწის რესურსები გამოიყენოს გაერთიანების საწარმოო პროგრამებით განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის.

2. მოსახლეობის უპირველესი სურვილია უზრუნველყოფილი იქნას მის მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია რეალური საბაზრო ფასებით, იყოს დასაქმებული საკუთარ მეურნეობაში და ჰქონდეს შემოსავლები.

3. სოფლის მოსახლეობისათვის უაღრესად მტკივნეულ პრობლემად რჩება ყოფილი კოლმეურნეობების ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემით გამოწვეული ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრის მიღწევა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბება სასურველი დონის განვითარებას შეძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მიწები, შენობა – ნაგებობები, საწარმოო ობიექტები და სხვა რესურსები მისაწვდომი გახდება სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებისათვის და ამისათვის დაჩქარდება ეფექტური საკანონმდებლო ცვლილებების გატარება.

4. საქართველოს კანონით „კოოპერატივების შესახებ“ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების ჩამოყალიბების გზაზე და შეიქმნა სასურველი გარემო აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის. მაგრამ ჯერჯერობით ერთიანი, მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებისათვის მთელი რიგი საკითხების გადაჭრაა საჭირო.

დღეისათვის მეცნიერთა, სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების წარმომადგენელთა ბაზრის სფეროს სუბიექტთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე, თუ რამდენად ქმედითუნარიანია მიღებული კანონი აგრობიზნესში არსებული გამოწვევების ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებაში. მართალია ის, რომ დღეს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმეტესობამ აგრარული სფეროს განვითარების აპოგეას მრავალწლიანი ძიებითა და ძალისხმევით მიაღწია და ეს ურთულესი პროცესი იყო, მაგრამ თუ სიღრმისეულად გავაანალიზებთ საერთაშორისო გამოცდილების შესახებ მასალებს, ადვილად დავინახავთ, რომ სწორედ სახელმწიფოს მიერ სწორად შერჩეული სტრატეგია და ტაქტიკა არის ის ძირითადი მამოძრავებელი ძალა და რესურსი, რომელიც ქვეყანაში აგრობიზნესის განვითარებას სტიმულს მისცემს. ქვეყნის ხელისუფლებამ დღეს სერიოზული განაცხადი გააკეთა სოფლის მეურნეობის რეაბილიტაცია-განვითარების მიმართულებით, მაგრამ გატარებული ღონისძიებები კვლავაც არასისტემურია, არაცივილურ ხასიათს ატარებს და ვერ უზრუნველყოფს ამ სფეროს დინამიურ განვითარებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას და გამოითქვას შეხედულებები საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების და შეღავათიანი სესხების გაცემის პროგრამულ მიდგომებზე. ჩვენი აზრით, ნებისმიერ ქვეყანაში კოოპერატივების თუ სხვა სახის გაერთიანებების ჩამოყალიბება ბევრად ნაკლებად პრობლემატური შეიძლება ყოფილიყო, ვიდრე ახლა ჩვენთანაა. საქმე ისაა, რომ ჯერ

ერთი აგრობიზნესი არ ხასიათდება მაღალი მომგებიანობით, წარმოების რენტაბელობა დაბალია და ამიტომაც ცალკეული სუბიექტებისათვის თუნდაც სათანადო ფინანსური თუ მატერიალური რესურსების პირობებში არამიმზიდველია და ნაკლებ აქტიურობას იჩენს ასეთი სამეწარმეო მიმართულებისადმი. მეორეს მხრივ დღეს ძირითადი სუბიექტები, ვინც კოოპერატივებში გაწევრიანების სურვილს გამოთქვამენ, წარმოადგენენ გლეხურ მეურნეობებს წარმოების პრიმიტიული მეთოდებით, უკიდურესად მცირე მიწებით და წარმოების საშუალებებით, აღარაფერს ვამბობთ ფინანსურ რესურსებზე. ასეთ პირობებში ნებისმიერი სახის თანადაფინანსება სერიოზული პროექტების განხორციელებაზე საწარმოო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების მიმართულებით ფაქტიურად შეუძლებელია. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრთა მიწის ნაკვეთებისა და სხვა ქონების კოოპერატივში გაერთიანებას, ეს გზაც არაპერსპექტიულია, რადგან მოსახლეობას დღესაც ახსოვს და მომავალშიც ემახსოვრება სახელმწიფოს მიერ კოლმეურნეობების ქონების უკანონო მითვისება, რომელიც ცალკეული ოჯახების შრომით იყო შექმნილი. ამიტომ ამ ქონების სამეწარმეო რისკის ქვეშ მოქცევას მოსახლეობა არ დაეთანხმება და ბუნებრივია კოოპერატივების ერთადერთი რესურსი იქნება მხოლოდ წევრი ოჯახების მიერ წარმოებული პროდუქცია და მისი რეალიზაციით მიღებული შემოსავლები. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში აგრობიზნესის განვითარებაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლის ამაღლების საქმეში მთავარია საწყის ეტაპზე სახელმწიფომ დაფუძნებულ კოოპერატივებს განვადებით გადახდის გათვალისწინებით შეუძინოს მცირე საწარმოები.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და მათი სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია ქვეყნის ხელისუფლების მიერ აგროსფეროს განვითარებისათვის მიზნობრივი დაფინანსების გზით შეძენილი წარმოების საშუალებების, ახალი და გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების სანერგეების, სათბურების მცირე ტექნიკის და სხვა რესურსების უპირველეს ყოვლისა ჩამოყალიბებულ კოოპერატივებზე გადაცემა

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებისათვის აუცილებელი საწარმოო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება მოითხოვს არა მარტო ტექნოლოგიების შემუშავებას, არამედ საჭირო მოწყობილობა-დანადგარების შერჩევას, შეძენასა და დანერგვას. ეს კი სერიოზულ დაფინანსებას მოითხოვს, რადგანაც სამამულო წარმოება არ არსებობს, იმპორტული კი ძვირია. საამისო რესურსები ფერმერულ და ოჯახურ მეურნეობებს, კოოპერატივებს არ გააჩნიათ, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფომ სამეცნიერო-კვლევით, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საპროექტო და სხვა ორგანიზაციებს ხელი შეუწყოს საკუთარი წარმოების მოწყობილობა-დანადგარების დაპროექტებაში და დამზადებაში. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ სახელმწიფომ ყურადღება გაამახვილოს ამ მიმართულებით სხვადასხვა მასშტაბის მიზნობრივი პროგრამების განხორციელებაზე.

ამის მაგალითად გამოდგება ბსუ აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ მანდარინის დამხარისხებელი მობილური დანადგარის შექმნა ნაყოფის შენახვისუნარიანობის გაზრდის მიზნით ბიოპრეპარატის დამსხურებელი მოწყობილობით. როგორც კვლევებმა გვიჩვენა, ეს პროექტი მაღალი ეფექტის მომტანია და ბევრად ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას და პროდუქციის დანაკარგების შემცირებით ამაღლებს პროდუქციის ხარისხს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მეციტრუსეებისათვის დღევანდელი უკიდურესად მოუწესრიგებელი, მონოპოლიური ბაზრისა და დაბალი შესყიდვის ფასების პირობებში.

ამ და სხვა საკითხებში საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიერ აღებულმა კურსმა აგრარული სფეროს რეაბილიტაცია-განვითარების მიმართულებით რეალური პოზიტიური ძვრების წინაპირობები შექმნა. დღეს აჭარის რეგიონი თამამად შეიძლება ჩაითვალოს საცდელ პოლიგონად, სადაც აგრარული სექტორის განვითარებისათვის ერთიანი მთავარი მიზნის ქვეშ ხორციელდება სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამები. შედეგები პოზიტიურია და მოსახლეობაში ამ დარგისადმი ოპტიმისტური მოლოდინის მდგომარეობა ყალიბდება.

სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების სარეკლამო მოდელების ჩამოყალიბება და შემდგომი დანერგვის ორგანიზაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სხვა მიზნობრივ პროგრამებს შორის. საქართველოში დაიწყო ინტენსიური პროცესი სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების ჩამოყალიბების მიმართულებით და მოსახლეობა კიდევ უფრო მკვეთრად იგრძნობს ამ პროექტის აქტუალობას, რასაც განაპირობებს ქვეყნის მასშტაბით ხელისუფლების მიერ აგრობიზნესის განვითარებისათვის გამიზნული რესურსების მასშტაბები. ეს რესურსებია:

კერძო სექტორის საკმაოდ მაღალი პოტენციალი;

ისტორიულად ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკა, პროდუქციის მრავალფეროვნება, ეკოლოგიური სისუფთავე და მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლები;

ადგილობრივი ნედლეულის სამრეწველო გადამუშავების, საერთო, ფუნქციონალური და სპეციალური დანიშნულების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების საკმაოდ მდიდარი პრაქტიკული გამოყენების ღირებულების მქონე პროდუქციის არსებობა;

საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის ობიექტების ჩამოყალიბების გარემოს არსებობა.

ისტორიულად ქართველთა სენი თუ ქრონიკული დაავადება სწორედ მაშინ იჩენს თავს, როცა წარსულის მწარე გამოცდილებით ან ტრადიციული მეურნეობრიობის სიკეთის გააზრებით დავიწყებთ მოქმედებას და ათასი ჯურის ჭკუის მასწავლებლის და ვაი კეთილისმსურველის დარიგებებით ვიწყებთ ნაბიჯების გადადგმას. ნახევრადსიმართლე, დაუმთავრებელი არქიტექტურის თუ ხელოვნების ნიმუში და საერთოდ დაუსრულებელი ნებისმიერი ქმედება დაუმთავრებელი უბედურებაა და არანაირი სიკეთის მოტანა არ შეუძლია.

იმავდროულად აღსანიშნავია ხელისშემშლელი ბარიერის არსებობა, რომლის გადაჭრის გარეშე სასურველი შედეგების მიღება შეუძლებელი იქნება ან გაჭიანურდება. კერძოდ: სასოფლო-სამეურნეო წარმოების სისტემის განვითარების პროგრამის ეფექტური მოდელის ჩამოყალიბების ნელი ტემპები; ყოფილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივ წარმოებაში მოქცეული მიწების, შენობა-ნაგებობების, მიწათსარგებლობის, ტყისა და სხვა რესურსების სახელმწიფო საკუთრებაში მოქცევა და მათი ჩართულობის პრობლემები კოოპერატიულ მეურნეობებში; აგრარული სფეროს განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნაში სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტებისა და მექანიზმების გამოყენების არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისობაში არაადექვატურობა, მართვის იერარქიული სტრუქტურების ჩამოყალიბების დაჩქარების აუცილებლობა. სოფელს უნდა აღუდგეს თავისი სტატუსი ისტორიულ საზღვრებში და როგორც თვითმმართველმა ერთეულმა უნდა განკარგოს მის ტერიტორიაზე არსებული ყველა სახის ძირითადი საშუალებები, მათ შორის ტყე, საძოვრები, მიწები, მდინარეები და სხვა. თავის მხრივ, საწყის ეტაპზე სახელმწიფომ უნდა იკისროს მარეგულირებელი და ხელშემწყობი მაორიენტირებელი როლი სოფლად კოოპერაციული მოძრაობის ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

სერიოზული შედეგების მომტანია მანდარინის ყვავილის გადამუშავების ტექნოლოგიის დანერგვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში. ეს უნიკალური ტექნოლოგია ჩვენი ინსტიტუტის მიერაა შემუშავებული და არსებობს წარმოებაში დანერგვის გამოცდილება. 2013 წელს მეცნიერთა ჯგუფმა მოახდინა სწავლება-დემონსტრირება სოფელ ხუცუბანში ოჯახურ პირობებში. მიღებული იქნა ექსტრაქტი და მისგან დამზადდა ლიქიორი, სიროფი და უალკოჰოლო სასმელები. არსებობს პროდუქციაზე მოთხოვნა სხვადასხვა ქვეყნებიდან და ფაქტიურად საჭიროა პროექტის რეალიზაცია მცირე საწარმოთა პირობებში.

დღეისათვის აჭარაში შექმნილია ხუთი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამით, რომელიც 2013 წელს განახორციელა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და იურიდიულ-სამართლებრივი სტატუსის მიღების პროცესის დასრულების სტადიაშია 12-მდე კოოპერატივი. წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს 20-მდე სოფელში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ 2013 წელს „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სარეკლამო მოდელების ჩამოყალიბება და შემდგომი დანერგვის ორგანიზაცია" სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის შესრულების პროცესში მომზადებულია წესდების მოდელი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებისათვის სოფლების შერჩევის კრიტერიუმები, საინიციატივო ჯგუფების შექმნისა და მუშაობის ორგანიზაციის მეთოდური მასალები, ოჯახური მეურნეობების რესურსებისა და საწარმოო ორიენტაციის აღრიცხვის ფორმები, საწარმოო პროგრამების შედგენის მეთოდური საფუძვლები, დარგობრივი ინფრასტრუქტურის ოპტიმალური მოდელების შერჩევის რეკომენდაციები. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიების შერჩევისა და დანერგვის მიმართულებები სახელმძღვანელოდ გამოიყენება კოოპერატივების გამგეობების მიერ. ინსტიტუტს მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შენახვასა და გადამუშავების მიმართულებით მეცნიერული კვლევების ჩატარებაში და პრაქტიკულად დანერგვის საქმეში. ყველა ჩამოყალიბებულ კოოპერატივს უკვე შემუშავებული აქვს საწარმოო პროგრამები მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერიოდებისათვის, განსაზღვრული აქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დღევანდელი და პოტენციური შესაძ-

ლებლობის მოცულობითი მაჩვენებლები, გადამუშავების ტექნოლოგიები და მისი დანერგვის უზრუნველმყოფი საწარმოო ობიექტების ამოქმედების პროგრამები, პროდუქციის შესაძლო ასორტიმენტი და ნომენკლატურა. აქტიური მუშაობა მიმდინარეობს მარკეტინგული კვლევების, ინვესტიციების მოზიდვის, ქვეყნის შიდა და გარე ბაზრებზე მომხმარებელ სუბიექტებთან კომერციული ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებით. ასეთივე მიდგომით გაგრძელდება მუშაობა ყველა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება სახელმწიფოს მხრიდან ჩამოყალიბებულ კოოპერატივებზე მიზნობრივი პროგრამებიდან არსებული რესურსების უპირატესად კოოპერატიულ მეურნეობებზე დახმარების გაწევის მიმართულებით. მათ შორის უნდა აღინიშნოს:

მცირე მექანიზაციის საშუალებების მიწოდება;

სხვადასხვა ფართისა და კონსტრუქციის სათბურების შეძენაში დახმარება;

ახალი კონსტრუქციის სკების მიწოდება;

ნიადაგების ანალიზის ჩატარება, რეკომენდაციების შემუშავება და საჭირო სასუქების შეძენაში დახმარება (დეფიკაციური ტალახი, დოლომიტი, მინერალური სასუქები და ა.შ).

მავნებლებისა და დაავადებების გავრცელების ხარისხის დადგენა და მასთან ბრძოლის ტექნოლოგიური საშუალებების შერჩევა-შეძენაში დახმარება.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი და გაუმჯობესებული ნერგების მიწოდება.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს მანდარინის ნაყოფის შენახვის გახანგრძლივებისა და ხარისხოვანი ნაყოფის დამზადებისათვის პრევენციული ღონისძიებების ჩატარებაში ბიოპრეპარატების გამოყენების დანერგვა. ამ მიმართულებით კვლევები ჩატარდა და მიღებული შედეგები არამარტო დამაკმაყოფილებელია, არამედ მაღალეფექტური და ოპტიმისტურია. წლეულს ეს მეთოდი დანერგილი იქნება არა მარტო მეციტრუსეობაში, არამედ მემცენარეობის სხვა დარგებშიც.

ამრიგად, სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა ამ პროცესში ჩართოს ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მატერიალურ-ტექნიკური და ინტელექტუალური პოტენციალი, უფრო მიზანმიმართულად და ეფექტურად გამოიყენოს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებები, კიდევ უფრო დახვეწოს და შედეგზე ორიენტირებული გახადოს საკანონმდებლო ბაზა, დაამკვიდროს სოფლის რეალური თვითმმართველობა და ხელი შეუწყოს ტრადიციულ მეურნეობრიობას, შექმნას სოფლად წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ოპტიმალური პირობები, მოამზადოს კოოპერატივების მართვის მაღალკვალიფიციური კადრები. სოფელი უნდა გახდეს ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების გარანტი. სოფელმა უნდა მიიღოს აქტიური და გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის აღმშენებლობისა და ძლიერების საქმეში. სოფელი არის და კვლავაც უნდა დარჩეს ერის კულტურული მემკვიდრეობის მყარ საფუძვლად.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სახელით:

ზურაბ მიქელაძე,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
ასლან დევაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

სოფლის მეურნეობა და ქვეყნის განვითარება

საქართველო მიწათმოქმედთა უძველესი ქვეყანაა, რასაც ადასტურებს მისი სახელწოდება „გეორგია“, აგრეთვე მრავალრიცხოვანი ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული წყაროები, საყოფაცხოვრებო, კულტურისა და რელიგიური ძეგლები, სოფლის მეურნეობასთან, ნაყოფიერებასთან დაკავშირებული ტრადიციები.

საქმიანობის ეს სფერო საქართველოსთვის ოდითგანვე მხოლოდ მეურნეობის დარგი კი არ არის, არამედ მისი ისტორიის, ცნობიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. თითქმის ყველაფერი, რითაც თავისი ოცდაათსაუკუნოვანი ისტორიით საქართველო დანარჩენი მსოფლიოსთვისაა ცნობილი, უშუალოდ უკავშირდება ჩვენი ქვეყნის, როგორც უძველესი მიწათმოქმედების არეალის მდიდარ ტრადიციებს.

აგრარული სექტორის ერთ-ერთი უმთავრესი და განმსაზღვრელი საკითხი არის მიწის ანუ ქვეყნის ძირითადი რესურსის საკითხი. მიწა ერის არსებობის და შემოქმედებისათვის აუცილებელი და გადამწყვეტი სივრცეა.

ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონე სარესურსო პოტენციალის რაოდენობრივ-ხარისხობრივ მაჩვენებლებზეა დამოკიდებული. სარესურსო პოტენციალში მიწას, როგორც უვადო ეკონომიკურ აქტივს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

აგრარული წარმოება, როგორც წესი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან იდენტიფიცირდება, რადგან აქ მიწის რესურსია ძირითადი და წარმოების მთავარი ფაქტორი.

საქართველოში სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სოფ-

ლის მეურნეობა ასრულებდა ქვეყნის თვითმყოფადობის, თვითუზრუნველყოფისა და თავისთავადობის შენარჩუნების მნიშვნელოვან ფუნქციას. ასე მოხდა 1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც, როდესაც უკიდურესად შეჭირვებულმა მოსახლეობამ მასობრივი შიმშილისაგან თავის დასაცავად ხსნა სოფლის მეურნეობაში იპოვა, რომელიც იყო და რჩება დასაქმების უმთავრეს სფეროდ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა უდიდესი ნაწილი – 85%-მდე მოდის თვითდასაქმებულ მოსახლეობაზე. მოქმედი სტატისტიკა სოფლის ეკონომიკურად აქტიურ ზრდასრულ მოსახლეობას, რომელიც ფლობს მიწის ნაკვეთს, სრულად დასაქმებულად მიიჩნევს. ამიტომ უმუშევრობის მაჩვენებელი ქალაქში 4-5-ჯერ აღემატება უმუშევრობის მაჩვენებელს სოფლად, თუმცა იმ თითქმის 900 ათასი სოფლად, მცხოვრები ადამიანიდან, რომელთაც სტატისტიკა დასაქმებულად მიიჩნევს, მხოლოდ ძალზე ცოტას თუ შეუძლია ოჯახის რჩენა მის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთიდან მიღებული შემოსავლით. სოფლად არსებული ფარული უმუშევრობა წარმოადგენს სოფლის მოსახლეობის ქალაქებში მასობრივი მიგრაციის, აგრეთვე საზღვარგარეთ ემიგრაციის ძირითად მიზეზს.

საქართველოში, ტრადიციულად, სულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 3 მილიონი ჰექტარი არსებობდა. აქედან 900000 ჰა სახნავ-სათესად გამოიყენება, მრავალწლოვანი ნარგავები 260000 ჰა-ს ითვლიდა, ხოლო 400000 ჰა საძოვრებისთვის გამოიყენებოდა. დიდი წილი ეჭირა ალპურ სათიბებსაც. საქართველოს მთლიანი ტერიტორიის მხოლოდ 13% უკავია ბარს, მთისწინებზე მოდის 34%, ხოლო მთებზე - დანარჩენი 53%. აშკარად გამოხატულმა ვერტიკალურმა ზონალობამ განაპირობა მსოფლიოში აღწერილი თითქმის ყველა ტიპის კლიმატისა და ნიადაგის არსებობა ქვეყანაში.

სასოფლო-სამეურნეო მრავალფეროვნება ასახულია სპეციალიზაციაშიც. მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომელშიც საქართველოს მსგავსად არსებობდეს სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის 11 საწარმოო ზონა (3 ქვეზონით). მსოფლიოს უდიდეს ქვეყნებშიც კი წარმოდგენილია 4-დან 7-მდე საწარმოო ზონა (მხოლოდ ნეპალში არის 8 პირობითი საწარმოო ზონა). ყოველივე ამის შედეგია ის, რომ საქართველოში იწარმოება ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, გარდა ტროპიკულისა.

მიწა შეუცვლელი, გაუმრავლებადი და ამოუწურავადი რესურსია, ამიტომ მის მოხმარებას განსაკუთრებული გონივრული მიდგომა სჭირდება როგორც გასხვისების, ისე გამოყენების თვალსაზრისით. მას მუდმივად უნდა აკონტროლებდეს სახელმწიფო თავისი კანონმდებლობით. დღეს, როდესაც მსოფლიოში იაფი საკვებისა და ზოგადად საკვები რესურსების პრობლემა სულ უფრო მწვავედ დგება, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტურად გამოყენების საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება. ჩვენი მოსახლეობის გამოკვება ძირითადად დამოკიდებულია იმპორტზე. მოხმარებული პროდუქციის დაახლოებით 65% იმპორტირებულია, რომლის შემოტანაც სხვადასხვა მიზეზით საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ვითარების გამო ნებისმიერ დროს შეიძლება შეფერხდეს და ქვეყანა სანახევროდ მშიერი დარჩეს.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის რეფორმა 1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №48-ე დადგენილებით „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ გამოცემითა და სასოფლო-სამეურნეო მიწების მასობრივი განსახელმწიფოებრიობის გზით დაიწყო. პრივატიზაციის შედეგად ფიზიკურ პირებს კერძო საკუთრებაში გადაეცათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 0.76 მილიონი ჰა (სოფლებსა და მცირე ქალაქებში მცხოვრებ საოჯახო მეურნეობებს ყოველგვარი საფასურის გარეშე დაურიგდათ 1.25 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი, მრავალწლოვანი ნარგაობანი) მიწა, ხოლო 5 ჰა-მდე სავარგულები (სახნავი და საძოვარი) იმ ოჯახებს, რომლებიც მთიან რაიონებში მეცხოველეობას მისდევდნენ. სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა 0.46 მილიონი ჰა, რომლიდანაც 0.30 მილიონი ჰა იჯარით გაიცა). მიწის განკერძოება ძირითადად სოციალურ მიზნებს ემსახურებოდა და ეს პროცესი მაშინდელი სამოქალაქო ომისა და აფხაზეთის კონფლიქტის მიმდინარეობის კონტექსტიდან გამომდინარე, ქაოტურად და დაუფიქრებლად მიმდინარეობდა. პრივატიზაციის დროს დაშვებულმა სერიოზულმა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულმა ხარვეზებმა სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობის მკვეთრ დაცემას შეუწყო ხელი. აღმოჩნდა, რომ მიწის განკერძოების შედეგად სოფლის მეურნეობამ, როგორც სექტორმა, ეკონომიკური საქმიანობის როლი დაკარგა და სოფლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის მხოლოდ თავის რჩენის საშუალებად იქცა.

გამომდინარე ზემოთაღნიშნულიდან, პრობლემის გადაჭრის პირველი რიგის საკითხია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში მოქცევის რა გზას ავირჩევთ და როგორი ფორმით მოხდება ამ მიწების ექსპლოატაცია. ჩვენი აზრით, მთავრობამ აირჩია სწორი პოზიცია და დაუშვა ქვეყანაში სახნავი მიწების ფერმერებზე გრძელვადიანი იჯარით გაცემა.

მართალია, 20 წლის წინ ჩატარდა მიწის რეფორმა და გლეხს მიწა გადაეცა მუდმივ სარგებლობაში, მაგრამ იგი სახელმწიფოს მხრიდან უყურადღებოდ იქნა დატოვებული, დარჩა რა მიწის წინაშე ცარიელი ხელებით. შიდა ბაზარი გაჯერებულია უცხოური წარმოების სუროგატული პროდუქციით. საერთოდ, საგეგმო ურთიერთობიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა ურთულესი პროცესია; იგი თვითდინებაზე არ უნდა იყოს მიშვებული და მას სახელმწიფო გარკვეული ბერკეტებით უნდა არეგული-

რებდეს. მაგალითად, ჩინეთში ამ გადასვლას წინ უსწრებდა სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარება, მათი ექსპლოატაციის შესწავლა და მომარაგება. ყველა განვითარებულ ქვეყანაში ხელისუფლება არეგულირებდა ამ პროცესებს, ჩვენთან კი სოფლის მეურნეობაში გარდაქმნები დაწყებულ იქნა ზედაპირულად, გამოცდილებისა და ტრადიციების გარეშე,გაწყვეტილ იქნა კავშირი მწარმოებელსა და გადამამუშავებელს შორის. რეგიონებში ხშირად სოფლის მეურნეობის პროდუქცია იწარმოება არქაული ტექნოლოგიით, რომელსაც პერსპექტივა არა აქვს. დარღვეულია პარიტეტი სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და სამრეწველო პროდუქციის ღირებულებას შორის (მაგ: 1 ლიტრი დიზელის საწვავის ღირებულება მინიმუმ 4-ჯერ აჭარბებს 1კგ. სიმინდის ღირებულებას). ამიტომაც წარმოებული პროდუქციის გასაყიდი ფასი მატერიალურ დანახარჯებსაც ვერ ანაზღაურებს. სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაცია ჩატარდა სტიქიურად და არასწორად. იგი „კაი ბიჭებზე“ მიწების დარიგების პროცესი უფრო იყო, ვიდრე პრივატიზაცია. წლების განმავლობაში ხორციელდებოდა არასწორი საინვესტიციო პოლიტიკა.

საქართველოში, როგორც მცირემიწიან ქვეყანაში, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულების დაცვა და მდგრადი გამოყენება, ნიადაგის დეგრადაციისა და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულების კარგვის ერთ-ერთი ფაქტორი მისი დანიშნულების შეცვლა და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით სარგებლობაა, რაც განპირობებულია ქვეყნის ინფრასტრუქტურის, კერძო ბიზნესის განვითარებით და სხვა ფაქტორებით.

სერიოზული პრობლემებია საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სფეროში. ეს სამსახური რომ სრულყოფილად ვერ ფუნქციონირებს, თვალნათლივ გამოჩნდა 2013 წელს მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობისას. ახალი მთავრობის მართლაც საჭირო და წარმატებული პროექტების განხორციელებისას სწორედ საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის მხრიდან შეიქმნა გარკვეული შეფერხებები. მხედველობაში გვაქვს შეფერხებები ტრაქტორების ტექნიკურ მომსახურებასა და საწვავ-საპოხი მასალებით უზრუნველყოფაში. ყოველივე ამან მიგვიყვანა დღევანდელ არასახარბიელო მდგომარეობამდე.

საერთოდ აგრარულ სფეროში რეფორმების გატარება ნებისმიერი ხელისუფლებისათვის პოლიტიკურად არამომგებიანია და იგი ნებისმიერ განვითარებად ქვეყანაში დღესაც მტკივნეულად და შეფერხებებით ხორციელდება. სწორედ ამიტომ ერიდებოდა ყოფილი ხელისუფლება სოფლად რეფორმების გატარებას. სოფლად კოოპერატივების შექმნის აუცილებლობაზე სპეციალისტების მიერ ყურადღება გამახვილებულ იქნა ჯერ კიდევ 2004-2005 წლებში, მაგრამ ყოფილი ხელისუფლება დარწმუნდა, რომ დიდ სიძნელეებთან მოუხდებოდა შეჭიდება და უარი თქვა მის განხორციელებაზე. ისინი მართალია სიტყვით აღიარებდნენ ქვეყნის ეკონომიკაში აგრარული სექტორის პრიორიტეტს, მაგრამ საქმით რამდენიმე წელიწადში ერთხელ 1 ტომარა სასუქის ან 20 ლიტრი დიზელის საწვავის დარიგებით იფარგლებოდნენ, რასაც მათთან დაახლოებულ ბიზნესმენებს „აწერდნენ“.

სერიოზული შეცდომები იქნა დაშვებული სოფლის მეურნეობის საკადრო პოლიტიკაში – თავი იჩინა არაპროფესიონალიზმმა, კუთხურობამ, ნათესაობამ, ძმაბიჭობამ და სხვა. დღეს კრიზისში მყოფი სოფლის მეურნეობის გადასარჩენად პროფესიონალებს ოქროს ფასი აქვთ. ჩვენი აზრით, შეცდომა იყო აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლის შემდეგ ძირითადი ფონდების სახელმწიფო საკუთრებაში გადაყვანა. საერთოდ, სოფლის მეურნეობა უნდა გათავისუფლდეს ზედმეტი მეურვეობისაგან და მხოლოდ თავისუფალი ფერმერი დაუპურებს ქვეყანას.

ახალი ხელისუფლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ შეუშინდა აგრარულ სფეროში არსებულ სიძნელეებს, გაბედულად შეუდგა სოფლის მეურნეობაში რეფორმებს და კოოპერატივების შექმნის პროცესს. ყველა დაგვეთანხმება, რომ სოფლის მეურნეობის მიმართ აშკარად შეიცვალა ხელისუფლების დამოკიდებულება. მეორე წელია წარმატებით ხორციელდება მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო დახმარების პროგრამა, რომელმაც ფაქტიურად გლეხი მიწისკენ შემოაბრუნა და საქართველოში უკვე მუშავდება რამდენიმე ათასი ჰექტრით მეტი მიწა, ვიდრე წინა წლებში.

ფაქტობრივად, სახელმწიფოდან ფასდანამატის მიღების საშუალებით, გადაჭრილია კახეთში ყურძნის და აჭარაში ციტრუსის ჩაბარებისა და გადამუშავების პრობლემა. იმედს გამოვთქვამთ, რომ ანალოგიური ღონისძიებები გატარდება ყველა რეგიონში სხვა პროდუქციაზეც.

დაინტერესებული ფერმერებისათვის უკვე შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გრძელვადიანი იჯარით აღება. დაწესდა შეზღუდვები უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების შესყიდვაზე, რაც დროული და აუცილებელი იყო.

ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეგიონებში შექმნილი სოფლსერვისის ერთიანი სამხარეო სისტემებისა და მარცვლეულის შენახვის ცენტრების შექმნას. პრემიერ-მინისტრმა ქ. ზუგდიდში დააანონსა სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში", რომლის ბიუჯეტი 46 მილიონი ლარია. აქედან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავებაზე 30 მილიონი ლარი დაიხარჯება. პროგრამას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს. მისი მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების

მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპერტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობისა და ტექნიკური დახმარების საშუალებით. პრიორიტეტულია სოფლის მეურნეობის მიმართულების შემდეგი დარგები: მეხილეობა-მებოსტნეობა, მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობების განვითარება, მესაქონლეობის ფერმები, მეფრინველეობის ფაბრიკები, მატყლისა და ტყავის დამუშავება, დაფნის, ჩაისა და თამბაქოს მოყვანა-გადამუშავება, კაკლის, თხილისა და სხვა კაკლოვანების მოყვანა-გადამუშავება, ხილის, კენკროვანების, ბოსტნეულისა და ციტრუსის გადამუშავება. შეიძლება ითქვას, პროგრამა "აწარმოე საქართველოში" ქართული სოფლის აღორძინებაში გადამწყვეტ სიტყვას იტყვის. ის ხელს შეუწყობს წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ადგილზე გადამუშავებას, რათა იგი გაიყიდოს მზა სახით. ამით სოფლად გაუმჯობესდება არამარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური, დემოგრაფიული, საბიუჯეტო, პოლიტიკური და სხვა მაჩვენებლები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს წყდება ქვეყნის დამოუკიდებლობის ფუნდამენტის-სოფლის მეურნეობის აღორძინების საკითხი და მასში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. სოფლის სამსახურში უნდა ჩადგეს ქვეყნის ინტელექტუალური, ეკონომიკური, სამრეწველო, ბუნებრივი, პოლიტიკური და სხვა პოტენციალი.

დურმიშხან ქილაძე,
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს აბაშის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი

მერაბ ძვარცხავა,
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მარტვილის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, აგროინჟინერიის დოქტორი

საქართველოს ბიოაგროსექტორის განვითარების პროგრამისათვის

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით საქართველოში 2013 წელს კუჭ-ნაწლავის და სასუნთქი გზების მხრივ 800 ათასი დაავადებული ადამიანი დაფიქსირდა, კვების შედეგად მოწამლულთა რიცხვიც ყოველწლიურად იზრდება.

ცხადია, ამ უბედურების ძირითადი მიზეზი უხარისხო კვებასა და მოწამლულ გარემო პირობებშია საძებნი. საინტერესოა, რატომ ვიტყუებთ თავს იმით, რომ საქართველოს ინტენსიური მიწათმოქმედების რაიონებში მოყვანილი ე. წ. ნატურალური პროდუქცია ჯანმრთელობისათვის სასარგებლოა, იმიტომ, რომ თურქულს ან ირანულს სჯობია?! ეს ხომ მცდარი შეხედულებაა, რადგან ჩვენთან პროდუქტების ხარისხი იშვიათად მოწმდება და ეს გვიქმნის ილუზიას, რომ საქმე სხვაზე უკეთესად გვაქვს. იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, როგორ იწამლება პროდუქტი, როგორც პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ისე მისი გადამუშავების და კვების მრეწველობის შიგნით ათასგვარი ქიმიკატების, ემულგატორების და საკვები დანამატების საშუალებით, ელემენტარული დაკვირვებაა საჭირო. ქვეყანაში საჭიროზე ბევრად მეტი მავნე ქიმიური ნივთიერებები შემოდის დაუბრკოლებლად, რაც საბოლოოდ ეკოსისტემასა და ჩვენს ორგანიზმში ილექება. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში საქართველოში პესტიციდების შემოტანის მოცულობა 4-5 ჯერ გაიზარდა, მაღაზიების რიცხვმა, სადაც ათასობით ტონა მავნე ქიმიური ნაერთები იყიდება, რომელთა დიდი ნაწილი სიცოცხლისათვის განსაკუთრებით საშიშია, 1000-ს გადააჭარბა. ამ მხრივ არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქებშიც საგანგაშო მდგომარეობაა. სწორედ ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ესეცაა, რომ მსოფლიო ეკოლოგიურ რეიტინგში საქართველო 47-ე ადგილიდან 2014 წელს 101-ე ადგილზე აღმოჩნდა. იბადება კითხვა, თუ ხალხი მძიმედ დაგვიავადდება და დაგვისუსტდება, ვის სჭირდება სოფლის მეურნეობის ასეთი განვითარება?! ათეული წლების განმავლობაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მრავალგზის მოწოდების მიუხედავად

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებისათვის ქვეყანაში თითქმის არაფერი გაკეთებულა.

30-40 წელია, რაც მსოფლიოს ბევრი ქვეყანა მეტ-ნაკლებად დადგა ანალოგიური პრობლემის წინაშე და გამოსავლის ძიება დაიწყო, თუმცა სხვადასხვა მცდელობებისა და შეზღუდვების მიუხედავად, შედეგები ვერ მიიღწა. ბოლოს, როგორც იქნა, დაიწყო ალტერნატიული – ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის განვითარების გზების ძიება. ამჟამად უკვე თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში ბიოაგრონარმოების ბუმია. ბიოაგროსექტორის განვითარებას მოსახლეობის მზარდი დაავადებების გარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ქიმიური მეთოდების კრახმა, ეკოლოგიური კატასტროფების სწრაფმა მატებამ, მავნებელთა და დაავადებების რაოდენობის ზრდამ, მოსავლიანობის კლებამ (ნიადაგების დეგრადირებისა და სასარგებლო ფლორის და ფაუნის შევიწროების ხარჯზე), მოსახლეობის გათვითცნობიერებამ, გენმოდიფიცირებული პროდუქტების მიმართ ნეგატიურმა დამოკიდებულებამ და სხვა ფაქტორებმაც შეუწყო ხელი.

დღეს ორგანული სოფლის მეურნეობა მსოფლიოს 170 ქვეყანაში დაახლოებით 40 მილიონ ჰექტარ ფართობს მოიცავს. ახალ ზელანდიაში ასეთი ფართობები 12,5 მილიონ ჰექტარზეა გადაჭიმული, ევროპაში – 10 მილიონზე, ჩრდილოეთ ამერიკაში – 1.7 მილიონზე, გერმანიაში – 1 მილიონამდე (აქ ბიოპროდუქციის ბრუნვამ 7 მილიარდ ევროს გადააჭარბა), უკრაინაში –300 ათასზე, პოლონეთში –280 ათას ჰა-მდე, ხოლო რუსეთში, სადაც კანონი ბიონარმოების შესახებ დღემდე მიღებული არ არის, ბიოპროდუქცია 40 ბიომეურნეობის 80 ათასამდე ჰექტარზე იწარმოება და 150 მილიონი დოლარის ბიოპროდუქცია იყიდება, საიდანაც 90 პროცენტი იმპორტზე გადის. როგორც წესი, ქვეყანაში ბიოპროდუქტი 8-10 ჯერ მეტი ღირს, ვიდრე ჩვეულებრივი. ამჟამად მსოფლიოში ბიოპროდუქციის ბრუნვა 80 მილიარდ დოლარს აღემატება, საიდანაც მნიშვნელოვანი ნაწილი ამერიკასა და ევროპაზე მოდის. ბიოპროდუქციის ბრუნვა ამერიკაში (აშშ) 23 მილიარდი დოლარია, ევროკავშირში – 20 მილიარდი ევრო. ჰოლანდიასა და შვეიცარიაში ბიოფართობებს სავარგულების 10 პროცენტამდე უკავია, ხოლო გერმანელები აპირებენ სავარგულების 20 პროცენტამდე ფართობები დაუთმონ ბიონარმოებას. დიდი წარმატებით ვითარდება ბიონარმოება განვითარებად ქვეყნებშიც, რომ-გორიცაა: ინდოეთი, ჩინეთი, ტაილანდი, ევროპაში-პოლონეთი, სერბეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები.

უკრაინაში იმის მიუხედავად, რომ კანონი ბიონარმოების შესახებ მხოლოდ მიმდინარე წლის დასაწყისში შევიდა ძალაში და ბევრი რამ ამ მხრივ მოუწესრიგებელია, ასეულობით მილიონი გრივნას ღირებულების პროდუქცია იწარმოება და დიდი წარმატებით გადის ექსპორტზე. პოლტავის ოლქის სოფელ მიხაილიკის მეურნეობა „აგროეკოლოგიაში", რომელსაც ხელმძღვანელობს 2-გზის შრომის გმირი სიმონ ანტონეცი, 8000 ჰა-ზე იწარმოება ბიოპროდუქცია და 500 კაცზე მეტია დასაქმებული. ამ მეურნეობამ ჯერ კიდევ 1978 წლიდან უარი თქვა შხამქიმიკატების გამოყენებაზე, ხოლო მინერალური სასუქები 1996 წლიდან აიკრძალა. აქ ნიადაგის დამუშავების განსაკუთრებული თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ხვნის მაგივრად გამოიყენება გაფხვიერება – ნიადაგის ზედაპირული დამუშავება ჩვეულებრივი გამაფხვიერებლებით, რომლებიც თვითონ გააუმჯობესეს. ნიადაგის განოყიერების სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია პარკოსან სიდერატებს. მეურნეობა მოსავლიანობის მხრივ საუკეთესოა უკრაინაში. 1 ჰექტარზე აქ 5 ტონა ქერი და 6 ტონა ხორბალი მოჰყავთ და მარცვლეულის წარმოების მხრივ ქვეყანაში, რომელიც მსოფლიო ლიდერთა სამეულში შედის, ბიომარცვლეულის წარმოებას 10 პროცენტი უკავია. ამ მეურნეობაში ბიომეცხოველეობაც კარგადაა განვითარებული – ჰყავთ 8000 მსხვილფეხა საქონელი, საიდანაც 2000-ზე მეტი მეწველია და მეურნეობაში ყოველდღიურად 25-30 ტონა ბიორძეს ღებულობენ. „აგროეკოლოგია" ძირითადად ექსპორტზე მუშაობს (მთავარი ექსპორტიორი ქვეყნებია ნიდერლანდები, გერმანია, შვეიცარია, საბერძნეთი, ისრაელი), ყოველწლიურად მილიონობით გრივნის შემოსავალს ღებულობს, რენტაბელობის დონე კი 35-40 პროცენტამდე აღწევს. ამ სიკეთის წყალობით სოფელი მიხაილიკი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. სოფელს აქვს საკუთარი ტელევიზია და გამომცემლობა, აქაური ხალხი სარგებლობს ყოველმხრივ საუკეთესო მომსახურებით. გამოცდილების გასაზიარებლად სიმონ ანტონეცს ხშირად აკითხავენ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებიდან და მათ შორის განვითარებული ქვეყნების ხელმძღვანელებიც მრავლად არიან.

მართალია, საქართველოში კანონი ბიონარმოების შესახებ 7 წელია მიღებულია, მაგრამ ამის გარდა სახელმწიფოს მხრიდან თითქმის არაფერი გაკეთებულა, თუმცა კერძო სექტორის წყალობით გარკვეული გამოცდილება მაინც დაგროვდა. დღეისათვის სერტიფიცირების ორგანო შპს „კავკასსერტში" სულ 28 მეურნეობაა რეგისტრირებული, საიდანაც 15 ბიოა, 13 – კონვერსიული (გარდამავალი) მეურნეობა. ამ ბიომეურნეობებიდან 6 მეღვინეობის (მევენახეობის) მიმართულებისაა, 1 – მარცვლეულის წარმოების (ელკანა), 1 – ჩაის წარმოების (შპს „ანასეულის ჩაი"), 3 – ველურად მოზარდი მცენარეების (შპს „თეა თრიზ", შპს „ჯეოპლანტი", შპს „გეოფლაუერი"), 1 – ვარდის პლანტაციის (ველიჯანაშვილი გიორგი), 2 – სასუქის წარმოების (შპს „ბიო ორგანიკ ჯორჯია" და „ბიოტექსი"). არის ერთი მრავალდარგოვანი ბიომეურნეობა „ქორდი", რომელიც ასოციაცია „ეკოსანდოსთან" მოქმედებს და მეხილეობის, მებოსტნეობის, მევენახეობის, მემინდვრეობის მიმართულებებით მუშაობს, აწარმოებს სასუქსა და მისდევს ბიომეცხოველეობას (მებოცვრეობა). სამწუხაროდ, დღემდე საქართველოში ვერ გამოინახა ვერც ერთი ბანკი, რომელიც ამ ბიომეურნეობას თუნდაც მცირედ კრედიტს გამოუყოფდა, ვინაიდან ბიომეურნეობას, რომლის ჩამოყალიბებას წლები და უზარმაზარი შრომა დასჭირდა, რადგან ე.წ. კონფლიქტის ზონის სიახლოვესაა განლაგებული, გაუქმება ემუქრება.

როგორც ვთქვი, საქართველოში მხოლოდ ერთი სერტიფიცირების სტრუქტურა „კავკასსერტი" მოქმედებს, რომელიც ბიომეურნეობებს და ნებაყოფილობით საწყისებზე ბიომეურნეობის ჩამოყალიბების მსურველებს ხელშეკრულების საფუძველზე ემსახურება. კერძოდ, 1 წლიური სავალდებულო და 1 რიგგარეშე ინსპექტირების ხარჯზე 2-3 წლიანი მონიტორინგის შემდეგ გასცემს სერტიფიკატებს (რაც მთლიანად საშუალოდ 800-1000 ლარი ჯდება), რომლებსაც როგორც საქართველოში, ასევე ევროკავშირში აქვს ძალა. აქვე უნდა ითქვას, რომ ინსპექტირება-სერტიფიცირების ეს სისტემაც საკმაოდ დახვეწას და კორექტირებას მოითხოვს. კერძოდ, საჭიროა არამარტო საწარმოო საქმიანობის შემოწმება, არამედ აუცილებელია ბიოპროდუქტის ანალიზის აღებაც. ამავე დროს უნდა გაიზარდოს ინსპექტორების რიცხვიც, რისთვისაც აუცილებელია სახელმწიფოს თანადაფინანსება.

საქართველოს სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში ბიო-

მიმართულების ენობრივ დატვირთვაში აბსოლუტური ქაოსია. კერძოდ, ყველა, ვისაც არ ეზარება, წერს ბიოს, ორგანულს, ეკოლოგიურად სუფთას. მართალია, მთავრობამ მიიღო დადგენილება და აგვისტოდან ასეთი პირები დაჯარიმდებიან, მაგრამ საკმაოდ ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციაც იყენებს უსაფუძვლოდ და უმისამართოდ ამ სიტყვებს (ეკო, ბიო, ორგანული). საჭიროა თვით ბიომეურნეობების გადამოწმებაც. კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანია სამეცნიერო გადაწყვეტილებებიც. მოკლედ, ბიოწარმოების დანერგვის პირველი ეტაპი ამ სფეროში წესრიგის დამყარებას უნდა დაეთმოს, რასაც ერთი წელი მაინც დასჭირდება.

მეორე ეტაპი ბიოაგროწარმოების დანერგვისათვის ძალზედ შრომატევადი იქნება, რადგანაც აუცილებელია ყველა იმ სასტარტო საშუალებების მომზადება, რაც ბიოწარმოებისათვის არის საჭირო: დასამზადებელია (შესასწავლია) სასუქები და პრეპარატები, შესამუშავებელია (შემოსატანია, მოსარგებია) ბიოაგროტექნოლოგიები, შესაქმნელია ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, შესასწავლია ნიადაგები, წყალი, ჰაერი და სხვა გარემო პირობები. ვფიქრობთ, ჯობია ბიოწარმოება ზონალურ პრინციპებს დავამთხვიოთ, ანუ განვსაზღვროთ 13 ზონისა და 6 ქვეზონის და პირობებში სად რომელი და როგორი ბიოწარმოება განვავითაროთ. ამის გაკეთება ალბათ უფრო უპრიანი იქნება ბიომეურნეთა მოთხოვნების მიხედვით ანუ როცა ბიომეურნეობის შექმნის მსურველი მოგვმართავს და მას შევასწავლით რამდენად და როგორ შეიძლება ან თუ შეიძლება სასურველ ადგილას ბიომეურნეობის ჩამოყალიბება. ამისათვის კარგი იქნება „კავკასსერტმა" იკისროს ვალდებულება, რომ ბიომეურნეობის შექმნის მსურველები ჯერ ცენტრში გადმოამისამართოს და მხოლოდ ამის შემდეგ გაუფორმოს ხელშეკრულება. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნება სამეცნიერო ცენტრმა წინასწარ შეიმუშაოს საქართველოს ყველა ზონისა და ქვეზონისათვის ბიოწარმოების განვითარების პერსპექტიული გეგმები. თუ იქნება მინიმალური დაფინანსება მაინც, ამის გაკეთება შეიძლება რაიონების და სოფლების მიხედვითაც კი, თითოეული კულტურის ტექნოლოგიური რუკების მეშვეობით. მოკლედ, მეორე ეტაპი არის მოსამზადებელი პერიოდი იმისათვის, რომ მესამე ეტაპი ეფექტურად და ორგანიზებულად ჩატარდეს ანუ ბიოწარმოება მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყოს და წარმატებით განვითარდეს.

ბიოწარმოების ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმები რამდენიმე სახის შეიძლება იყოს: ბიოფერმერული მეურნეობები; ბიოკოოპერატივები; ბიოასოციაციები. შესაძლებელია სხვა ფორმებიც (შპს, ინდივიდუალური მეურნეობა და სხვა). ჩვენი აზრით უპირატესობა ბიოასოციაციებს და ბიოკოოპერატივებს უნდა მიენიჭოს, რადგანაც აქ შრომის ნაყოფიერების და ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები შედარებით მაღალი იქნება. ყველაზე უკეთესად სამეცნიერო-საწარმოო ტიპის ასოციაციების ჩამოყალიბება მესახება, რომლებიც ერთგვარ „კოოპერატივებსაც" წარმოადგენს, რადგანაც აქ ერთიანდება ინტელექტი, ფიზიკური შრომა, ეფექტური მენეჯმენტი და მარკეტინგი, სადაც ფერმერული საქმიანობა ორმაგ კონტროლს განიცდის, ერთის მხრივ სერტიფიცირების ორგანოსაგან, მეორეს მხრივ – ასოციაციისაგან.ამავე დროს ასოციაციის წევრები ერთმანეთის წინსვლისთვისაც ზრუნავენ, რამეთუ ძლიერი ასოციაცია ძლიერ წევრებს ეყრდნობა.

აქტუალურია ბიოკოოპერატივების ჩამოყალიბებაც, რადგან კოოპერატივებისათვის გამოყოფილი პრივილეგიებით ორმაგი სარგებლობა შეიძლება, ანუ მარტო წარმოება კი არა, ბიოწარმოებაც განვითარდება. მათთვის კი, ვინც არ ისურვებენ რომელიმე ორგანიზაციაში გაერთიანებას, ცალკე პროგრამები გახდება საჭირო და მეტი ყურადღება სახელმწიფოს მხრიდან.

მესამე ეტაპზე უშუალოდ წარმოების დროს გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები: წარმოების უწყვეტობა, მუდმივი კავშირი ბაზართან, შიდა და გარე კონკურენცია, ადგილობრივი და საექსპორტო მოთხოვნილება, ფასები, დაზღვევის გარანტია, საბანკო-საკრედიტო ურთიერთობები და მრავალი სხვა. მესამე ეტაპის თავისებურებაა ისიც, რომ ამ დროს ბიოსექტორი კონკურენტულ რეჟიმში ებმება არამარტო შიდა ბიოსექტორის, არამედ კონვენციური სოფლის მეურნეობის მიმართაც და, ცხადია, ბევრი პრობლემები, წინააღმდეგობები, ცილისწამებები, დასმენები და ა.შ. წარმოიქმნება, მაგრამ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებას ეს ვერ შეაჩერებს.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება პირველი და მეორე ეტაპების სწორად წარმართვას ანუ სწორი ფუნდამენტის შექმნას, რაშიც განსაკუთრებული როლი ეკისრება სახელმწიფოს და მეცნიერებას. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს შეუძლია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან და პროფესიონალ მეცნიერებთან ერთად საქართველოს ბიოაგროსექტორის განვითარების სტრატეგია და ტაქტიკა შეიმუშაოს, შექმნას რეგიონული და დარგობრივი პროგრამები, შეადგინოს ტექნოლოგიური რუკები, გადასინჯოს და შეიმუშაოს ახალი ნორმები და ნორმატივები და ა.შ. სამუშაო არის მეტად შრომატევადი. თითქმის იმდენივე სამუშაოა ჩასატარებელი, რაც მთლიანად სოფლის მეურნეობაში, რადგან ბიოაგროსექტორი არის მთლიანი აგროსამრეწველო კომპლექსი პლუს ნოვაცია. ჩვენ თუ ვერ მოვახერხებთ შეზღუდული გზებით სიარულს, ე. ი. ერთი მიმართულებით მუშაობას, ამ საქმიანობაში ჩაებმება როგორც პირველადი წარმოება, ასევე გადამუშავება და კვების მრეწველობა და თუ ამას დავუმატებთ მოსამზადებელი პერიოდის ბიოსაშუალებებს და ბიოტექნოლოგიებს და სხვა აუცილებლობებს, ნათლად დავინახავთ, რა მასშტაბებთან გვაქვს საქმე, ამიტომ სახელმწიფოს ამ სექტორის თავიდანვე დაფინანსება მინიმალურად მაინც მოუწევს.

ცნობისათვის ვიტყვით, რომ წლების წინ ასეთი მოცულობის სამუშაოებს ასრულებდა რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად. მაგალითად, თურქეთში ბიოაგროსექტორის მიმართულებით 4 ბიოკომიტეტი, 25 ინსტიტუტი და ათასობით კვალიფიციური სპეციალისტი მუშაობს და ამ საქმეზე ასეულობით მილიონი იხარჯება. სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური სტრატეგიის რანგში აქვს ეს საქმე აყვანილი. ჩვენ შორს ვართ ასეთი დიდი მასშტაბებისაგან, მაგრამ 2-3 კაცით შედეგის მიღწევა წარმოუდგენელია.

მიმდინარე 2014 წელს აუცილებელი იქნება დაფინანსება შემდეგი აუცილებლობებისათვის, როგორიცაა: ბიოპრეპარატების, ბიოსასუქების, ბიოტექნოლოგიების შემუშავება, შესწავლა, დანერგვა, სადემონსტრაციო ნაკვეთების შექმნა თითოეულ ზონაში თითოსი მაინც.

ამავე დროს მასმედიის საშუალებებით უნდა დაიწყოს ამ საქმიანობის ფართო რეკლამირება, მოსახლეობას განემარტოს ბიოაგროწარმოების სიკეთე და თავისებურებები. ძირითადი ეტაპობრივი საქმიანობის პარალელურად უნდა ჩამოყალიბდეს ბიომეურნეობები (სურვილის შემთხვევაში) იმ საშუალებებით, რაც გაგვაჩნია. (თანდათანობით დაიხვეწება). კარგი იქნება, თუ სახელმწიფო ბიომეურნეობის შექმნის მსურველებს ინსპექტირების ხარჯებს მაინც დაუფარავს. ეს გადაწყვეტილება 2-3 ჯერ დააჩქარებს ბიომეურნეობების ჩამოყალიბებას. შედეგი კი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად სწრაფად და ეფექტიანად შევძლებთ ამ მეურნეობების საწყისი პირობების შესწავლას, რეალური პროექტის შედგენას და ბიომეურნეობის შემდგომ თანადგომას. მე პირადად ამ პროცესებს დადებითად ვუყურებ, რადგან გამოცდილება უკვე არსებობს. ბიომარკეტინგის განვითარების საფუძველზე შესაძლებელი იქნება ქვეყანაში ბიომაღაზიათა უწყვეტი ქსელის განვითარება და ჩვენი მოსახლეობის ნამდვილი ჯანსაღი პროდუქტით მომარაგება. ნაწილი კი საერთაშორისო ბაზარზე დაუბრკოლებლად გაიყიდება, რაც სერიოზულ შემოსავალს მოუტანს ჩვენს ქვეყანას. სხვა შემთხვევაში შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენს პროდუქციას არავინ იყიდის, რადგან რაც დრო გადის, მსოფლიო მსყიდველუნარიანი მოსახლეობა ეკოლოგიურად სუფთა და კეთილსაიმედო პროდუქციით სულ უფრო მეტად ინტერესდება.

ლერი ჯალაბაძე,
„ეკოსანდოს" გენერალური დირექტორი, ეკონომიკის დოქტორი, აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბიოფერმერი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია ევროკავშირის მოთხოვნის შესაბამისად თაფლის შემოწმებას წლის ბოლოს შეძლებს!

„ევროკავშირის სტანდარტით თაფლის შემოწმებას საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია 2014 წლის ბოლოსთვის შეძლებს. თაფლი ყველაზე რთულად შესამოწმებელი პროდუქტია. თუ ჩვენ ამ პროდუქტის ევროკავშირის სტანდარტებით შემოწმებას შევძლებთ, ჩათვალეთ, რომ არც ერთი სხვა სასურსათო პროდუქტის შემოწმებასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ იქნება," – ამბობს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის დირექტორი ლალი მაძღარაშვილი.

– სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ აშშ-ის სტანდარტების ეროვნული ინსტიტუტის (ANSI) აკრედიტაცია გაიარა და ISO 17025 სერტიფიკატი მიიღო. ეს რთული და ძვირადღირებული პროცესი იყო. ჩვენმა ლაბორატორიამ საკმაოდ მკაცრი შემოწმება გაიარა. ეს გზა ავირჩიეთ იმიტომ, რომ ბევრი დრო არ დაგვეკარგა: ერთ თვეში ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას მოეწერება ხელი და აუცილებელია, რომ ჩვენი ლაბორატორიის შესაძლებლობები ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან რაც შეიძლება მალე იყოს სრულ შესაბამისობაში. საქართველოს აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაცემულ აკრედიტაციას, სამწუხაროდ, საქართველოს ფარგლებს გარეთ არანაირი ძალა არ გააჩნია, რადგან მას საერთაშორისო აღიარება არ აქვს. აკრედიტაციის ეროვნული ორგანოსთვის საერთაშორისო აღიარების მოპოვება ურთულესი და ხანგრძლივი პროცესია. ყველაზე კარგ შემთხვევაში ამ პროცესს რამდენიმე წელი დასჭირდება. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ აშშ-ის სტანდარტების ეროვნული ინსტიტუტის აკრედიტაცია გაგვევლო და ISO 17025 სტანდარტი მიგვეღო. კორპორაცია ACLASS, რომელმაც ჩვენ აკრედიტაცია მოგვცა, არის მსოფლიოს სამი ყველაზე ავტორიტეტული სააკრედიტაციო ორგანოდან ერთ-ერთი და საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული კორპორაცია.

ISO 17025 სააკრედიტაციო სფეროს ფარგლებში ჩვენ შეგვიძლია სურსათისა და წყლის როგორც ფიზიკური და ქიმიური, ისე რადიოლოგიური და მიკრობიოლოგიური გამოკვლევა.

სურსათში ცხოველური წარმოშობის პროდუქტიც იგულისხმება და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიას ნებისმიერი სურსათის შემოწმება შეუძლია. აკრედიტაცია ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ლაბორატორიაში ჩატარებული აკრედიტაციაგავლილი მეთოდები აბსოლუტურად ზუსტია. დამკვეთი, რომელიც ჩვენთან ამ მეთოდებით შესამოწმებლად რაიმე პროდუქტს მოიტანს, მიიღებს ზუსტად იმ შედეგს, რასაც მიიღებდა მსოფლიოს ნებისმიერი სხვა წამყვანი ქვეყნის ISO 17025 აკრედიტაციაგავლილ ლაბორატორიაში.

რაც შეეხება თაფლს, აქ ცოტა განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს. თაფლი ყველაზე რთულად შესამოწმებელი პროდუქტია. იგი შეიძლება ეტალონად ავიღოთ. თუ ჩვენ ევროკავშირის სტანდარტებით თაფლის შემოწმებას შევძლებთ, ჩათვალეთ,

რომ სხვა არც ერთი სასურსათო პროდუქტის შემოწმებასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ გვექნება.

ევროკავშირს თაფლის შემოწმებასთან დაკავშირებით მკაცრი მოთხოვნები აქვს. აქედან ყველაზე მთავარი თაფლში ანტიბიოტიკების და პესტიციდების ნარჩენების დადგენაა. ევროკავშირს სტანდარტებში მკაცრად აქვს გაწერილი თაფლში ზოგიერთი ნივთიერების ზღვრული ნორმები და საერთოდ აკრძალული ნივთიერებები. არის ნივთიერებები, რომელთა აღმოჩენა თაფლში ამჟამად არ შეგვიძლია. ამ ნივთიერებების აღმოჩენის მეთოდი ვიცით, მაგრამ სათანადო აპარატურა არ გვაქვს. ჩვენ უკვე გადავეცით სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმ აპარატურის ჩამონათვალი, რომელიც თაფლის სრულყოფილი შემოწმებისთვის და, ზოგადად, ლაბორატორიის სრულფასოვანი მუშაობისთვის არის საჭირო. ეს აპარატურა უახლოეს პერიოდში გვექნება.

ეს საკითხი მიბმულია ინსტიტუციური გაძლიერების იმ პროგრამაზე, რასაც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ევროკავშირი აფინანსებს. ინსტიტუციური გაძლიერების პროგრამაშია მოქცეული სოფლის მეურნეობის ლაბორატორიაც, რისთვისაც დაახლოებით 1 მლნ ევროა გამოყოფილი. ეს თანხა ძირითადად ლაბორატორიისთვის საჭირო ტექნოლოგიების შეძენას მოხმარდება. მათ შორის არის აპარატურაც, რითაც თაფლის სრულფასოვანი ანალიზი გაკეთდება.

ევროკავშირის სტანდარტით თაფლის შემოწმებას საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია 2014 წლის ბოლოსთვის შეძლებს.

- ISO 17025 აკრედიტაციის სფეროს ფარგლებში სამინისტროს ლაბორატორიას ასევე შეეძლება ვეტერინარული დაავადებების სრული სპექტრის დიაგნოსტიკა, მათ შორის განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების: ბრუცელოზის, ჯილეხის, ფრინველის გრიპის და თურქულის.

როგორც ქალბატონი ლალი განმარტავს, საქართველოს სოფლის მეურნეობის ლაბორატორიას ქსელი მთელ ქვეყანაში აქვს. საერთაშორისო აკრედიტაციას გაივლიან ქუთაისის და ახალციხის ლაბორატორიებიც, რის შემდეგაც მათ შეეძლებათ განახორციელონ ყველა ის გამოკვლევა, რაც ცენტრალურ ლაბორატორიაში კეთდება. ერთადერთი გამონაკლისი, რასაც ქუთაისის და ახალციხის ლაბორატორიებში ვერ გააკეთებენ, რადიოლოგიური და მძიმე მეტალებზე შემოწმება იქნება, თუმცა, ეს არ არის ისეთი ტესტი, რომელზეც დიდი მოთხოვნაა. აშშ-ის სტანდარტების ეროვნული ინსტიტუტის (ANSI) აკრედიტაციას ეს ლაბორატორიებიც გაივლიან. პროცესი უკვე დაწყებულია და ის წლის ბოლოს დასრულდება.

მომზადებულია eugeorgia.info-ს მასალების მიხედვით

ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ვეტერინარული თავდაცვა სამხედრო თავდაცვაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი არ არის!

აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის USDA-ის ორგანიზებითა და დაფინანსებით კომპანია „ინვეტის“ დირექტორმა დავით შალამბერიძემ კოლორადოს უნივერსიტეტის ცხოველთა პოპულაციისა და ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუტში „კოხრანის“ პროგრამის ფარგლებში გაიარა ორკვირიანი ტრენინგი თემაზე: „სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში ვეტერინარული ფარმაცევტული საშუალებების უსაფრთხო გამოყენება“

– თუ შეიძლება მოგვიყევით უშუალოდ რას ეხებოდა აღნიშნული სწავლება, რა გამოცდილება შეგძინათ და რით წაადგება ეს ჩვენს სპეციალისტებს და ფერმერებს?

– სამედიცინო სფეროში დღეს ძალზე აქტუალურია რეზისტენტული

კომპანია „ინვეტი“ დიდი ხანია საქართველოს ბაზარზე ვეტერინარული მომსახურების მნიშვნელოვან სეგმენტს ფლობს და საქართველოს ფერმერებს მთელი ქვეყნის მასშტაბით უწევს პროფესიულ დახმარებას, ამიტომ კომპანიის თანამშრომლები მუდმივად ხვეწენ თავიანთ პროფესიულ უნარებს, ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა ტრენინგებსა და კონფერენციებში.

საქართველოში დღეს ვეტერინარული ვითარება არცთუ სახარბიელოა, სპეციალისტთა მომზადების თვალსაზრისითაც არ გვაქვს სახარბიელოდ საქმე, ამიტომაც უცხოეთის ცნობილ სასწავლებლებში თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებას დიდი მნიშვნელობა აქვს. დღეს ჩვენი ჟურნალის მკითხველს ვთავაზობთ ინტერვიუს ბატონ დავით შალამბერიძესთან, რომელიც მოგვითხრობს იმ სიახლეების შესახებ, რაც მან ამერიკის ერთ-ერთ უდიდეს სავეტერინარო ცენტრში ცნობილი მეცნიერების ლექციებზე მოისმინა.

შტამების არსებობა, რომელიც ხელს უშლის განკურნების პროცესს, რადგან ისინი ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული ხდებიან.

მეცხოველეობაში ანტიბიოტიკებს როგორც პროფილაქტიკისთვის, ისე საკვები დანამატების სახით შეუზღუდავად გამოიყენებენ. ბუნებრივია. მეცხოველეობის პროდუქტებიდან ადამიანის ორგანიზმში ხვდება ეს ნივთიერებები და ორგანიზმი მათ მიმართ რეზისტენტული ხოლო, ხოლო როცა წარმოიშობა გარკვეული პათოლოგიები, მათ წინააღმდეგ ანტიბიოტიკები აღარ მოქმედებს. აქედან მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მეცხოველეობაში ანტიბიოტიკების ფართო გამოყენება პროფილაქტიკური და საკვები დანამატის სახით საკანონმდებლო დონეზე უნდა დარეგულირებულიყო. მსოფლიოში უკვე დიდი ხანია განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ანტიბიოტიკების კონტროლსა და რეგულაციებს. ჩვენ ქვეყანაში ასეთი რეგულაცია არ არსებობს, ამის არც ცოდნაა და არც გამოცდილება.



ვინაიდან ევროკავშირში გაწევრიანების ხელშეკრულების ასოცირებას უნდა მოვაწეროთ ხელი, ამ მხრივაც ევროპის მოთხოვნების შესაბამისი კანონმდებლობა უნდა გვქონდეს და მკაცრად დავიცვათ მოთხოვნილი წესები. ამისათვის წინასწარ მომზადებაა საჭირო, რაც მარტო სწავლებას და საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებას კი არ ითვალისწინებს, არამედ ვეტერინარებისა და ფერმერების მომზადებასაც, რათა მათთვის ახალი ამბავი არ იყოს ეს თემატიკა, როცა სახელმწიფო აქტიურად წამოჭრის ამ საკითხს და დაიწყებს მის რეგულირებას.

ბუნებრივია, კანონმდებლობის მიღება, რომელიც ანტიბიოტიკების გამოყენებას არეგულირებს ხისტად, მოუმზადებლად არ შეიძლება, რადგან ეს ფერმერებსა და აგროსაწარმოებს ცუდ დღეში ჩააგდებს და ბევრი მათგანის დახურვას გამოიწვევს. ამიტომ აუცილებელია ნელ-ნელა, უმტკივნეულოდ გადასვლა, რათა ფერმერი მოსალოდნელი რეგულაციების დაწესებულ სტანდარტებს მომზადებული შეხვდეს.

მინდა აღვნიშნო, რომ ზუსტად ამ საკითხებზე ჩაგვიტარდა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ტრენინგი. იქვე გავეცანით ყველა იმ საააგენტოს და ორგანიზაციის მუშაობას, რომელიც არეგულირებს ანტიბიოტიკებისა და სამკურნალო საშუალებების საკანონმდებლო ბაზას: როგორ იკვლევენ, როგორ შეაქვთ ცვლილებები, ნერგავენ სიახლეებს. ამაზე მუშაობენ მაღალი დონის პროფესიონალები, რომლებიც კვლევებზე დაყრდნობით იღებენ გადაწყვეტილებებს.

ანტიბიოტიკების გამოყენების თეორიული კურსის გარდა ინტენსიურად გვეკითხებოდა ლექციები მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნის თემებზე. ლექციები გვეკითხებოდა ანტიბიოტიკების დიფერენცირების, გამოყენების რეგულაციის, დოზირების, მოცდის პერიოდის შესახებ. მეორე ეტაპი გვქონდა ლაბორატორიული პრაქტიკა, უშუალოდ ფერმაში ვეცნობოდით ვეტერინარების მუშაობას, ვიღებდით რძის ანალიზს, ვამოწმებდით ანტიბიოტიკების შემცველობას ექსპრესდიაგნოსტიკის უახლესი მეთოდით.

ძალიან საინტერესო იყო ჩვენნაირი პროფილის კომპანიაში სტუმრობა. კომპანია ფაქტობრივად ორად იყო გამიჯნული – ერთ მხარეს თავისუფალ მოხმარებაში არსებული მედიკამენტებითა და მეორე მხარეს რეცეპტით გასაცემი მედიკამენტების განყოფილებით.

ასევე საინტერესო ტრენინგი ჩაგვიტარა უდიდესი ფარმაცევტული კომპანია „ფაიზერის“ სამეცნიერო კონსულტანტმა, გაგვაცნო თანამედროვე ვეტერინარიის ფარმაცევტული მიდგომები, ორიენტირები. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ანტიბიოტიკების გამოყენების შესახებ. ამ მიმართულებით ჩვენ უნდა გავაქტიურდეთ, ეტაპობრივად დავნერგოთ თანამედროვე მეთოდები, რასაც განვითარებული მსოფლიო დიდი ხანია იყენებს, რომ პირველ ეტაპზე ჩვენმა ვეტერინარებმა და ფერმერებმაც დაიწყონ უსაფრთხო, ანთების საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება. ვეტერინარიაში ხომ პირდაპირ ანტიბიოტიკებით ვიწყებთ მკურნალობას. ასეთი პრაქტიკა ახალი მიდგომებით უნდა შეიცვალოს, რათა გავუფრთხილდეთ ცხოველებსაც და ადამიანს.

რახან ჩვენ პროფესიონალებით დაკომპლექტებული კომპანია ვართ, გარკვეული პასუხისმგებლობაც გვეკისრება. ამიტომ მიგვიწვიეს კერძო კომპანიის წარმომადგენლები ტრენინგზე, რომ ქვეყანაში ამ მიმართულებით აქტიურად დავიწყოთ მუშაობა. მართალია ამ საქმეში თავიდან ყველა ფერმერი არ აგვყვება, ამის პრეტენზია არც გვაქვს, მაგრამ იმდენი ავტორიტეტი კი გვაქვს, რომ ფერმერების 20-30 პროცენტი დავაინტერესოთ უსაფრთხო სამკურნალო საშუალებების გამოყენებით.

სახელმწიფო უახლოეს მომავალში აუცილებლად დაიწყებს მეცხოველეობის, ხორცისა და რძის პროდუქტების ანტიბიოტიკების შემცველობაზე კონტროლის განხორციელებას, მოამზადებს საკანონმდებლო ბაზას და დააწესებს შესაბამის რეგულაციებს, რადგან უამისოდ არანაირი შანსი არ გვაქვს ევროპული ოჯახის წევრები გავხდეთ.

– ჩვენთან როგორი ვითარებაა, თქვენ გაიარეთ ტრენინგი, მიიღეთ კარგი ინფორმაცია და მაღალი სტანდარტის ცოდნა, სად უნდა გამოიყენოთ, არის ამის წინაპირობა მაინც საქართველოში, რა ეტაპზე ვართ?

ტრენინგის მსვლელობის პერიოდში ყოველი დღის ბოლოს ვაწყობდით გავლილი თემების განხილვას, სადაც მთავარი აქცენტი იყო დასმული თუ როგორ გამოვიყენებდით აღნიშნულ ცოდნას ჩვენ ქვეყანაში.

ქვეყანაში ამ მიმართებით სერიოზული მუშაობაა დასაწყები, ეს თემა უნდა გაიშალოს და გააქტიურდეს. ჩვენ, სპეციალისტებმა სახელმწიფოსთან ერთად უნდა მოვამზადოთ ფერმერები. ჩვენ რეგიონებში ხშირად ვხვდებით ფერმერებს, ხორცისა და რძის პროდუქტების მწარმოებლებს, ვატარებთ ტრენინგებს, ვაწვდით ახალ ინ-

ფორმაციას. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ძალიან კარგი ნაბიჯი გადადგა და მედიკამენტებით ვაჭრობა გარკვეულ წესრიგს დაუქვემდებარა. სურსათის უსაფრთხოების თვალსაზრისითაც კარგი ნაბიჯი გადაიდგა, დაიწყო სასაკლაოების მოწყობა, რაც ყველა ცხოველზე უნდა გავრცელდეს.

ანტიბიოტიკების და საერთოდ ვეტერინარული პრეპარატების გამოყენების მხრივ ქვეყანაში მძიმე მდგომარეობაა. აუცილებელია კონტროლის მექანიზმის გააქტიურება, რასა ერთი რომელიმე ორგანიზაცია ვერ შეძლებს. საზოგადოება უნდა გაერთიანდეს, რადგან საბოლოო ჯამში საზოგადოება ზარალდება. თქვენ წარმოიდგინეთ: თავის დროზე ვეტერინარული კონტროლი რომ ყოფილიყო მოწოდების სიმაღლეზე, ქვეყანაში ამდენი დაავადება არ გავრცელდებოდა.

თუნდაც 2006 წელს ჩვენ რომ ფოთში კარგი ვეტერინარული სამსახური გვქონოდა, აფრიკული ცხელება არ შემოგვეპარებოდა და ქვეყანას ასეთი ზარალი არ მიადგებოდა. ერთ წელიწადში თითქმის ამოწყდა ღორის პოპულაცია, 800 ათასიდან 80 ათასზე ჩამოვიდა. ვინ იზარალა? გლეხობამ, ფერმერებმა, ჩვენმა ხალხმა.

ვეტერინარია რთული და პრაქტიკული დარგია. ამ მიმართებით სამეცნიერო კონტინგენტი მარტო იმიტომ კი არ არის საჭირო, რომ სპეციალისტები მომზადდეს, არამედ აუცილებელია კვლევებისთვის, რომ გაანალიზდეს დაავადებების გავრცელების მხრივ როგორი მდგომარეობაა ქვეყანაში და ამ კვლევების საფუძველზე შემუშავდეს ამ დაავადებებთან ბრძოლის გეგმა და სტრატეგია. დღეს უამრავი დაავადებაა ქვეყანაში, რასაც გამოკვლევა და მიზანმიმართული გეგმის შემუშავება სჭირდება. ეს სწორედ მეცნიერებმა უნდა გააკეთონ პრაქტიკოს ვეტერინარებთან ერთად.

ჩვენ ამერიკაში გაგვაცნეს არამარტო იმ დაავადებების მიმართ გასატარებელი ღონისძიებები, რაც ამჟამადაა გავრცელებული, არამედ ისეთ დაავადებებზეც კი აქვთ გაწერილი სამოქმედო სტრატეგია, რამაც შეიძლება ოდესმე იჩინოს თავი. როცა პრობლემა გაჩნდება, მაშინ კი არ იწყებენ ფიქრს, როგორ მოიქცნენ, არამედ წინასწარ არიან მომზადებულნი, ვინ რა უნდა გააკეთოს.

– საქართველოში თუ ტარდება კვლევები, კეთდება ანალიზი, რა ხდება ვეტერინარიის მხრივ?

– რომელიმე მეცნიერმა ლოკალურად თავისი სამეცნიერო ინტერესისთვის შეიძლება ჩაატაროს რაიმე კვლევა, რაც ძალზე იშვიათად ხდება. მაგრამ, როგორც ვიცი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ქმნის სააგენტოს, რომელიც იმუშავებს სამეცნიერო განხრით, ჩაატარებს კვლევებს, შეისწავლის ვითარებას სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, რაც ძალიან კარგია, რადგან რეგიონების მიხედვით კვლევების ჩატარება აუცილებელია.

დღეს სახელმწიფო რამდენიმე საშიშ დაავადებას უკეთებს პრევენციას: ცოფს, ჯილეხს, თურქულს, ბრუცელოზს, ახლა იწყებენ ტუბერკულოზზე კვლევებს. ამის გარდა უამრავი საშიში დაავადებებია, რომელთა გამოსავლენად არც კვლევა ტარდება და არც რაიმე პრევენციული ღონისძიება.

ამიტომ, ისევე როგორც განვითარებულ ქვეყნებშია, ჩვენთანაც უნდა შეიქმნას ვეტერინარული თავდაცვის სისტემა, სადაც წინასწარ იქნება დაგეგმილი სამოქმედო გეგმა და სტრატეგია. ტრენინგი, რომელიც კოლორადოს უნივერსიტეტში გავიარეთ, ამ სისტემის ჩამოყალიბებისკენ გადადგმული ერთი ნაბიჯია. საქართველო ჯერ მათი სტანდარტისგან შორს დგას, მაგრამ ანალოგიური სისტემა აქაც აუცილებლად შეიქმნება.

მარიამ ლეგანიძე

ბატკნის გამოზრდა და ცხვრის კვება

საქართველოს სხვადასხვა ბუნებრივ-კლიმატური ზონის პირობების გათვალისწინებით მიღებულია კვებისა და მოვლა-შენახვის ტრადიციული სისტემები.

მომთაბარე მეცხოველეობა

აღმოსავლეთ საქართველოს მომთაბარე მეცხვარეობაში ნამატის მიღება სეზონურად – გაზაფხულზე იწყება. ამ პერიოდში დედა ცხვარი ახლად დაბადებულ ბატკანთან ერთად ფარეხში, მოვლა-შენახვისა და კვების გაუმჯობესებულ პირობებში, 2-3 კვირის განმავლობაში იმყოფება. შემდეგ მას უშვებენ საძოვარზე, ხოლო ბატკანს აგროვებენ ჯგუფებად საბატკნეში და დღის განმავლობაში აძლევენ ხარისხიან თივას, შვრიას, ქერის ღერღილს ან კომბინირებულ საკვებს. დილით, საძოვარზე გასვლამდე, ცხვარს და ბატკანს ერთმანეთში ურევენ. ბატკანი და დედა ცხვარი ერთმანეთს სწრაფად პოულობს და იწყება ე.წ. გასარდვლა – ბატკნის წოვების პროცესი. 20-30 წუთის შემდეგ მოზარდს ასხლეტენ დედისგან და შეჰყავთ საბატკნეში, ცხვარს კი გარეკავენ საძოვარზე. ეს პროცესი საღამოსაც მეორდება. ღამე ცხვარი და ბატკანი განცალკევებული არიან, 1-1,5 თვის ასაკიდან კი მათ დილიდანვე ერთმანეთში ურევენ და დღის განმავლობაში საძოვარზე ერთად ამყოფებენ. საღამოს ბატკანს ისევ გამოარჩევენ დედისგან და ფარეხში აბინავებენ, დედა ცხვარი კი გვიანობამდე საძოვარზე რჩება.

დაბადებიდან ერთი თვის ასაკამდე ბატკანი ძირითადად დედის რძით იკვებება. ერთი კილოგრამი ცოცხალი

მასის მატებისთვის მოზარდს სჭირდება 5-6 კგ რძე. ამ პერიოდში ბატკანს ზრდა-განვითარების ყველაზე დიდი პოტენციალი აქვს. სადღეღამისო წონამატი საშუალოდ 400-500 გრამს აღწევს. ლაქტაციის მესამე თვიდან დედა ცხვრის რძის რაოდენობა კლებულობს. ამიტომ ბატკნის მაღალი ზრდა-განვითარების ენერგიის პერიოდი რომ არ გავუშვათ ხელიდან, მათ დამატებით ეძლევათ კარგი ხარისხის თივა და კონცენტრატი. 3 თვის ასაკის ბატკანი დღეში უკვე 0,3-0,5კგ თივას და 150 გრ. კონცენტრატს ჭამს.

მომთაბარე მეცხვარეობის პირობებში 3 თვის ასაკის ბატკანი უკვე მთაში აჰყავთ,სადაც ხდება მისი დედისგან ასხლეტა. ასხლეტილ მოზარდს ცალკე ფარად აკომპლექტებენ და, როგორც წესი, ბინასთან ახლოს სპეციალურად შერჩეულ, ყველაზე კარგ საძოვარზე აბალახებენ.

მეცხვარეობის გაძღოლის პრაქტიკაში სხვადასხვა ზონის ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით საქართველოში მიღებულია ცხვრის კვების და შენახვის რამდენიმე სისტემა:

წლის განმავლობაში ბაგური კვება – ზამთარში ცხვარს კვებავენ ბინაში ან ბინასთან ახლოს – მოედანზე, ზაფხულში კი – საზაფხულო ფარდულების ქვეშ.

ბაგურ-საძოვრული კვება – გამოიყენება ისეთ რეგიონებში, სადაც მინდვრად საკვების დეფიციტია. ასეთ შემთხვევაში ცხვარს ზამთარში ბინაში კვებავენ, ხოლო ზაფხულში საძოვარზე უშვებენ.

საძოვრულ-ბაგური კვება – მიღებულია იქ, სადაც საზამთრო საძოვრებია და არის საშუალება საკვების დამზადებისა, რომელსაც აძლევენ დედა ცხვარს ზამთრის დოლის დროს და დამატებითი საკვების სახით ადრე გაზაფხულზე.

საძოვრული კვება – გამოიყენება იმ ზონებში, სადაც საკმარისად გააჩნიათ როგორც საზამთრო, ისე საზაფხულო საძოვრები. ასეთ ზონებში ცხვარს მთელი წლის განმავლობაში საძოვარზე ინახავენ, ხოლო ზამთრის და ადრე გაზაფხულისათვის ამზადებენ საკვების წლიური მოთხოვნილების 10-15%-ს. ცხვრის კვებისა და შენახვის აღნიშნული სისტემებიდან ქართლ-კახეთში სულადობის 60-65% საძოვრული სისტემით იკვებება (მომთაბარეობის გათვალისწინებით). ბაგურ-საძოვრული სისტემა გამოიყენება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (20-25%), დანარჩენ 15-20%ცხვრის სულადობას კი სხვადასხვა სისტემის გამოყენებით ინახავენ.

მაკე ნერბის კვება ისე უნდა მოეწყოს, რომ კარგად განვითარდეს ნაყოფი, რათა ჯანმრთელი ბატკანი მივიღოთ,

ცხრილი 1. მაკე ნერბის კვების ნორმაები

ცოცხალი მასა, კგ	საკვები ერთეული, კგ	მონელებადი ცილა, გ	კალციუმი, გ	ფოსფორი, გ	კაროტინი, მ.გ
40	0.75-0.95	60-75	3.7-4.7	2.3-2.9	10-12
50	0.85-1.05	75-90	4.2-5.1	2.5-3.1	
60	0.95-1.15	81-95	4.7-5.6	2.8-3.4	
მაკეობის ბოლო 2 თვეში კვების ნორმა					
40	1.0-1.2	95-115	6.5-7.5	3.2-4.0	15-20
50	1.15-1.35	115-125	7.5-8.5	3.5-4.5	
60	1.30-1.40	115-135	8.0-9.0	4.1-5.0	
მაწოვარი ნერბის კვების ნორმა					
40	1.4-1.8	140-180	7.2-8.4	4.2-5.2	15-20
50	1.5-1.9	150-190	7.6-8.8	4.4-5.4	
60	1.6-2.0	160-200	8.0-9.2	4.6-5.6	

ხოლო ნერბს ბატკნის გამოსაკვებად საკმარისი რძე ჰქონდეს. მაკეობის ბოლო 45-50 დღის განმავლობაში ნაყოფი ინტენსიურად იზრდება, რის გამოც ნერბის საკვებზე მოთხოვნილება 30%-

ცხრილი 2. ვერძი-მწარმოებლის კვების ნორმები

ცოცხალი მასა, კგ.	საკვები ერთეული, კგ	მონელებადი ცილა, გ	კალციუმი, გ	ფოსფორი, გ	კაროტინი, მ.გ
მოსვენების პერიოდში					
50	1.0-1.2	95-115	5.5-6.5	3.15-3.6	12.0-18.0
60	1.15-1.4	104-125	6.0-7.0	3.5-4.0	13.0-20.0
70	1.25-1.50	115-135	6.75-7.65	3.9-4.5	14.5-22.0
80	1.4-1.7	125-155	7.5-8.5	4.3-5.0	16.0-24.0
90	1.5-1.8	135-165	8.0-9.0	5.0-5.5	18.0-27.0
ნერბვის პერიოდი (დღეში 2-3 ეაკულატი)					
50	1.35-1.60	150-190	6.8-8.0	5.5-5.8	29.0-27
60	1.50-1.8	170-215	7.6-9.0	6.0-6.5	30-38
70	1.7-2.0	190-238	8.5-10.0	6.75-7.2	31-39
80	1.9-2.2	210-265	9.5-11.0	7.5-8.0	32-40
90	2.0-2.3	220-275	10.5-11.5	8.0-8.5	36-45
ნერბვის პერიოდი (დღეში 3-4 ეაკულატი)					
50	1.6-1.90	210-240	10.0-11.3	8.0-8.7	29.0-35.0
60	1.8-2.10	235-310	11.2-12.5	8.9-9.7	32.0-38.0
70	2.0-2.35	260-345	12.5-13.9	9.9-10.8	36-43
80	2.2-2.6	210-385	14.0-15.5	11.0-12.0	40-48
90	2.3-2.7	310-405	15.0-16.5	12.0-13.0	45-54

ით მატულობს, ხოლო მონელებად ცილებზე კი 40%-ით. მაკე შიშაქებს, რომელთაც სრული ზრდა არ დაუმთავრებიათ, საკვების ნორმა 15%-ით უნდა გავუზარდოთ (ცხრილი 1).

ცხვრის სუქება ძირითადად საძოვრების გამოყენებით უნდა მოხდეს, რათა წარმოებული პროდუქცია იაფი დაჯდეს, მაგრამ ცხვრის ინტენსიურ სუქებაზე უარი არ უნდა ვთქვათ (ცხრილი 3).

საქმე ისაა, რომ საიალაღო სუქება ძირითადად გვიან შემოდგომაზე მთავრდება. ამ დროს ხდება დიდი რაოდენობით სულადობის დაკვლა, რაც ბაზრისათვის სტიქიურ მიწოდებას იწვევს და ირღვევა თანაფარდობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. ინტენსიური სუქების დროს კი შეიძლება ამ პროცესის რეგულირება სუქების დაყოვნებისა და მოთხოვნის გზით.

ცხრილი 3. ზრდასრული და მოზარდი ცხვრის სუქებისას კვების ნორმები

ცოცხალი მასა, კგ.	საკვები ერთეული, კგ	მონელებადი ცილა, გ	კალციუმი, გ	ფოსფორი, გ	კაროტინი, მ.გ
40	1.25-1.50	90-100	3.7-4.5	2.2-2.7	6-10
50	1.35-1.75	105-130	4.5-5.3	2.5-3.0	6-10
60	1.55-2.05	110-140	5.3-6.0	2.8-3.3	6-10
20	0.7-0.9	90-110	4.4-5.3	2.6-3.0	5-8
25	0.75-0.95	95-115	4.5-5.5	2.8-3.2	6-8
30	1.1-1.15	100-115	5.0-5.9	3.1-3.4	6-8
35	1.1-1.2	100-115	5.3-6.2	3.2-3.6	7-9
40	1.3-1.5	100-115	5.0-6.0	3.2-3.6	7-9

ინტენსიური სუქებისას ზრდასრული ცხვრისათვის საჭიროა 60 დღე, ხოლო სხვადასხვა ასაკის მოზარდისათვის სუქება 90-120 დღის ფარგლებში მერყეობს. არის მესამე ვარიანტიც – იქ, სადაც მაღალი ხარისხის საძოვრებია, საძოვრული სუქებიდან ბოლო 30-45 დღე ცხვარი გადაჰყავთ ინტენსიურ სუქებაზე. ასეთი სუქებისათვის შეიძლება მოეწყოს მარტივი ტიპის სასუქი მოედანი.

სუქებისას მოზარდი 1კგ ცოცხალი მასის მომატებაზე მნიშვნელოვნად ნაკლებ საკვებს ხარჯავს, ვიდრე ზრდასრული სულადობა. 100 გრამი სადღეღამისო მატებისას ზრდასრულ ცხვარს 1კგ წონა ნამატზე სჭირდება 9-10კგ საკვები ერთეული, მოზარდს 7-8 თვის ასაკში კი – მხოლოდ 5-6 საკვები ერთეული.

გელა გაჭარაშვილი
ასოციაცია „კავკასიის გენეტიკის" გენერალური მენეჯერი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი



ჰორიზონტალურად: 3. ქართული მაგარხორბლიანი ჯიში; 7. მთიულეთში გავრცელებული იშვიათი და უხვმოსავლიანი კაკლის ჯიში; 9. ძველ დროში რაჭაში ფართოდ გავრცელებული პარკოსანი კულტურა; 13. ცნობილი ღვინო ბაკურციხე-კარდენახის ადგილებიდან; 14. ნიადაგის ტიპი; 16. საქართველოში ძველთაგანვე გავრცელებული პარკოსანი; 18. იმერეთის მცირედგავრცელებული წითელყურძნიანი ვაზის ჯიში; 21. ცნობილი ლალისფერი ღვინო ქალაქ გორის მეზობელი სოფლიდან; 22. ვაზის ერთწლიანი ტოტი; 23. ბლის ძველი ქართული ჯიში; 24. ზეთოვანი მცენარე, რომლისგანაც მზადდება ტანისამოსი.

ვერტიკალურად: 1. ველური ვაშლი; 2. ბოლქვიანი კულტურა, რომელსაც გამოიყენებენ საკვებწარმოებაში; 4. სწორი ან სუსტად ტალღისებური ხმელეთის ნაწილი; 5. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული მიწების გასაუმჯობესებლად მიმართული ღონისძიებების სისტემა; 6. საქართველოში გავრცელებული კარტოფილის ერთ-ერთი ჯიში; 8. გარეთ ატლასი, შიგნით ათასი; 10. მევენახეობის მიკროზონა ლეჩხუმში; 11. მსხვილფეხა პირუტყვის დაავადება; 12. ტყემლის ქართული ჯიში; 15. საკვებდანამატი მეცხოველეობაში; 17. იაპონური ხურმა; 19. რამდენიმე ადამიანის გაერთიანება რომელიმე მეზობლის მისახმარებლად დასავლეთ საქართველოში; 20. ბიოდიზელის ნედლეული.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად: 1. კაბერნე; 6. ასკანა; 3. სარაჯიშვილი; 9. რაფსი; 10. ვარჯი; 11. ხეჭეჭური; 12. დინდგელი; 13. თესლბრუნვა; 15. ბიცობი; 16. ბაბილო; 20. დიკა; 21. ტელეფა; 22. ჰექტარი; 23. სულგუნი; 24 . ქოცო.

ვერტიკალურად: 2. ჭაკი, 7. წალამი; 4. საპროპელი; 5. შირაქი; 8. ოჯალეში; 14. ჭოპორტი; 17. ახაშენი; 18. ორშიმო; 19. ზღავი.

საუკეთესო საბაღე-სავენახე ხელის ინსტრუმენტები გერმანიიდან

WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა
www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა

www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

BERGER

ალიანს ჯგუფი
ლიზინგი
ისარგებლეთ აგრო ლიზინგით და გადაიხადეთ
ტექნიკის ღირებულება ეტაპობრივად

ოფიციალური დილერი
WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა
www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

seppi m®

საბალე-სავენახე სპეციალური სათიბელა-მულჩერი ნარგავების ძირებთან სამუშაოდ

PORT-X
პორტ X

ალიანს ჯგუფი
ლიზინგი
ისარგებლეთ აგრო ლიზინგით და გადაიხადეთ
ტექნიკის ღირებულება ეტაპობრივად

ოფიციალური დილერი
WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა
www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

ARRIZZA



სავენახე ჯულტივატორი იტალიიდან

FUTURA H
ფუტურა H

MASCHIO GASPARDO

საუკეთესო თქვენი ბაღეებისა და ვენახებისთვის

DELFINO DL
დელფინო დლ

საბაღე-სავენახე ვერტიკალური ფრეზი
სამუშაო სიგანე: 130 სმ / 150 სმ / 180 სმ

VITA
ვიტა

საბაღე-სავენახე მულჩერი
აქუცმაცებს ბალახს და ტოტებს 6 სმ-ის დიამეტრამდე
სამუშაო სიგანე: 120 სმ / 140 სმ / 160 სმ / 180 სმ

ოფიციალური დილერი
WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა
www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

ალიანს ჯგუფი
ლიზინგი
ისარგებლეთ აგრო ლიზინგით და გადაიხადეთ
ტექნიკის ღირებულება ეტაპობრივად

MASCHIO GASPARDO

საუკეთესო თქვენი ბაღებისა და ვენახებისთვის

NETTUNO AVANT
ნეტუნო ავანტი

მისაბმელი ტიპის ცენტრიდანული ნისლწარმომქმნელი -
შესაწამლი (სხვადასხვა მოდიფიკაციით)

APOLLO POST
აპოლო პოსტი

ასაკიდი ტიპის ცენტრიდანული ნისლწარმომქმნელი -
შესაწამლი (სხვადასხვა მოდიფიკაციით)

ოფიციალური დილერი
WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა
www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

ალიანს ჯგუფი
ლიზინგი
ისარგებლეთ აგრო ლიზინგით და გადაიხადეთ
ტექნიკის ღირებულება ეტაპობრივად

DeLaval
Bosio

დელავალის მობილური საწველი დანადგარები მსხვილფეხა და წვრილფეხა მერძეული მეცხოველეობისათვის

უფრო ნაზი ვიდრე მწველავის ხელები!

WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა

www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

AG ალიანს ჯგუფი ლიზინგი

ისარგებლეთ აგრო ლიზინგით და გადაიხადეთ
დანადგარების ღირებულება ეტაპობრივად

„პაკიზოს“ ნატურალური რძის პროდუქტებს

მზადდება 100%-ანი ძროხის რძისგან

შეიძინეთ „გუდვილისა“ და „სმარტის“ სავაჭრო ქსელში

დამზადებულია: სს უნიფარმი
Produced by: Unifarm JSC
4112 სოფ. თეკლათი, სენაკი, საქართველო
4112 Teklati Village, Senaki, Georgia
ტელ./Tel.: (+995) 9595 711912
www.pakizo.ge